საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ცოგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 12 იანვარი. 2022 წ. №5 (9343) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ირაკლი ღარიბაშვილი:

შევცვალოთ არსებული სოციალური პოლიტიკა, შევქმნათ სამუშაო ადგილები და შევამციროთ სიღარიბე

2

კახა კალაძე:

2022 აღმშენებლობის წელი იქნება!

8

ერის გამომაფხიზლებელი

შარშანდელმა წელიწადმა ბევრ ღირსეულ ქართველ მოღვაწეს მოუსწრაფა სიცოცხლე, ახალი, 2022 წელიც პირველი დიდი სიკვდილით დაიწყო — გარდაიცვალა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ეროვნული პოეტი **რეზო ამაშუკელი,** რომლის მძაფრი ქართული სულისკვეთებითა და გულისკვეთებით გაჟღენთილი ჯავარიანი პოეზია მარადიულად საქართველოსთან მკვიდრად შეარსებული და შეწიაღებული იქნება როგორც სამშობლოს თავმოსაწონებელი, გამომაფხიზლებელი, გამამხნევებელი ძალა.

ამიერიდან ამ დიდებული სიტყვის დიდოსტატის საგოდებლად თვითონ ჩვენი ხალხის გაუხუნარი ხსოვნა იქცევა.

ასეთი ღვაწლმოსილი მამულიშვილები სადაც იმარხებიან, ის ადგილი უკვე პანთეონია.

რეზო ამაშუკელი:

მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი

მიწა მაქვს და
მიწა მქონდა —
დარი მამალ ხოხბის ფრთისა,
მოყვრის მსასოებელი და
დამბაფვრელი მოშურნისა!
მაღლივ ღმერთი არ მაკლებდა
შუბლზე მირონცხებულ ნიშანს,
რკინას ვჭედდი, ვაშენებდი,
საყდარსა და სანთლის ნიშას.

მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი
სულს ჩემივე ჩუქურთმისას,
ვაზის ჯვარზე
სხივს ვახვევდი
კაბადუკიელის თმისას,
საწნახელში
ბიჭი იდგა
ვადას ჩაფრენილი ხმლისას
აკვნიდან რომ არ ენახა
მშვიდად დაღამება დღისა.

იქით ვეშაპს ხმალს ვუქნევდი,
აქედ დიდოს,
ლეკს და ხიზანს,
წიგნიც დაწვეს,
ვაზიც ჩეხეს,
მაინც ვერ ეწიენ მიზანს.

ზოგჯერ ჩემგან ჯვარწერილი
მეზობელიც ამემრიზა,
— შინაურმა თუ არ დამკლა
მე მომხვდური ვერას მიზამს!
მე ჩემი მაქვს მოსავლელი
თვალი არ გამირბის სხვისას,
წვეთ-წვეთად და
მისხალ-მისხალ
მიწა მეფე თამარისა!

ვინც შეირგებს ჩემს ზედაშეს, —
ჩოხას მივუბოძებ ძმისას,
ვინც არა და
ნუ მიიჩნევს
თავს ამ ცა-ფირუზის ღირსად!

აღარც ხონთქრის მეშინია
არც შაჰის და ყაენისა,
ხატზე ბევრჯერ გადავეცი
ვინც მამული გაასხვისა!
ჩუმად ვიჩნევ მოძმის ტკივილს
იმის სიხარულს და ჭირსა
და მწამს ჩემი ბედისწერის
აწმყოსი და მომავლისა!

აღორძინებულო მზვარევ,
მხარევ, გაბადრული მზისა
ილოცვიდე დედაენას
ჩინს საკუთარ თვალებისას,
ზეპირობდე
რვალზე წერილს
სამუდამო პარაკლისად: —
— „მე ვარ ავი მუსაიფი
კახთ ბატონის ირაკლისა!“

გონებით განუსჯელი რუსეთის მართლა უნდა გვეშინოდეს!..

3

ციხიდან მართული

3 თანხირი პოლიტიკანების აჯაფსანდალი...

ჰესები სრულიად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა აშენონ!

6

ირაკლი ღარიბაშვილი: 2021 წელს ჩვენ მივაღწიეთ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას

მინდა, ჩვენს საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია, თუ როგორ დავასრულეთ გასული საბიუჯეტო წელი და როგორია 2021 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები, მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რომელიც გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელსაც ჰქონდა ქვეყანას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 10 იანვარს მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2021 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2020 წლის ბოლოს — როგორც ეპიდემიოლოგიურად, ისე ეკონომიკურად ყველაზე რთულ პირობებში, შესაბამისად, 2021 წელს ეკონომიკური აღდგენის მოლოდინები მინიმალური იყო.

„ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეადგენდა მაშინ 4,3%-ს; მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა პროგნოზირებული იყო 53,4 მილიარდი ლარის ოდენობით; მთავრობის ვალის პროგნოზი იყო მშპ-ს 60 პროცენტზე მაღალი; ხოლო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი შეადგენდა მშპ-ს 7,6%-ს.

2021 წელი დაიწყო საკმაოდ რთულად — იანვარში გვქონდა 11.5-პროცენტიანი ეკონომიკური კლება, ფაქტობრივად, ვიყავით ლოქდაუნის რეჟიმში, ვირუსის ძალიან მაღალი გავრცელებითა და სამწუხაროდ, ადამიანური დანაკარგით. მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა მარტი-აპრილის თვიდან, როდესაც ჯერ მარტში დადასტურდა დადებითი ზრდის მაჩვენებელი, ხოლო აპრილში უპრეცედენტოდ მაღალი — 44.8 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა. ამავე პერიოდში დაიწყო საგარეო ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური ინდიკატორების სწრაფი გაუმჯობესების პროცესი. 11 თვის წინასწარი მონაცემების მიხედვით, ეკონომიკური ზრდა 10,7%-ს შეადგენს. ჯამში, 10.7 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი წლიური ზრდის ტემპიც, რაც 2,5-ჯერ მეტია თავდაპირველად პროგნოზირებულ მაჩვენებელზე.

მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელიც და თავდაპირველად პროგნოზირებული 53,4 მილიარდი ლარის ნაცვლად, ახალი პროგნოზით — 59.6 მილიარდ ლარს შეადგენს

11 თვის ჯამური მონაცემებით, ექსპორტის ზრდამ შეადგინა 26.7 პროცენტი, მათ შორის, ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ — 28.7 პროცენტი; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წინა წელთან მიმართებით 112 პროცენტით გაიზარდა და 2019 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლის 37 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ივლისიდან მოყოლებული, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2019 წლის ანალოგიური თვის 50 პროცენტს აჭარბებს (ნოემბერში 55%); პირველ 11 თვეში წმინდა ფულადი გზავნილები 25.4 პროცენტით გაიზარდა; პირველ 3 კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით 2.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა, მათ შორის, მესამე კვარტალში — 6.1 პროცენტული პუნქტით. წლიურად ჯამში ჩვენ ველოდებით, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2021 წელს 10.5 პროცენტამდე შემცირდება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში, დაუბრუნდება 5-პროცენტიან მაჩვენებელს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, სწრაფმა ეკონომიკურმა აღდგენამ მთავრობას საშუალება მისცა, მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა ძირითადი ფისკალური პარამეტრები.

„სწრაფმა ეკონომიკურმა აღდგენამ საშუალება მოგვცა, მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა ძირითადი ფისკალური პარამეტრები, კერძოდ: მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მთავრობის ვალი დაგეგმილი 60,1%-ის ნაცვლად 50%-მდე შემცირდა; ხოლო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი თავდაპირველად დაგეგმილი 7,6%-ის ნაცვლად, შემცირდა მშპ-ს 6.1%-მდე; ასე, რომ კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა შეჯამებისთვის, რომ 2021 წელს ჩვენ მივაღწიეთ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ზედმეტი ბერიერები უნდა მოიხსნას ქვეყანაში და მაქსიმალური ყურადღება და თანადგომა უნდა გავუწიოთ ჩვენს მოსახლეობას უნდა შევცვალოთ არსებული სოციალური პოლიტიკა, შევქმნათ სამუშაო ადგილები და შევამციროთ სიღარიბე!

ჩვენ გვაქვს მზაობა, უფრო უკეთესი, უფრო წარმატებული წელი გვქონდეს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ზედმეტი ბარიერები უნდა მოიხსნას ქვეყანაში და მაქსიმალური ყურადღება და თანადგომა უნდა გაეწიოს მოსახლეობას

„მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ყველა მინისტრს წარმატებული საქმიანობისთვის. ახლა ჩვენ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ. ეს არ ნიშნავს, რომ უნდა მოვდუნდეთ, პირიქით. გასულ წელს, მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი რაღაც მოხდა ქვეყანაში. მათ შორის, იყო არჩევნები. საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძალიან წარმატებული ეკონომიკური წელი გვქონდა. ყველას გილოცავთ ამ მიღწევას, მაგრამ ჩვენ გვაქვს მზაობა, უფრო უკეთესი, უფრო წარმატებული წელი გვქონდეს. ამისთვის ჩვენ გვჭირდება კიდევ უფრო მეტი მუშაობა, მეტი შემართებით, მობილიზებით, რომ რაც შეიძლება მეტი გავუკეთოთ ჩვენს მოსახლეობას. განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, თანადგომას. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავამარტივოთ სერვისებზე წვდომა. უნდა გავაუმჯობესოთ, უნდა დავხვეწოთ სახელმწიფო სერვისები, ბიზნესს უნდა გავუმარტივოთ ოპერირება და საქმიანობა. ზედმეტი ბარიერები უნდა მოიხსნას ქვეყანაში და მაქსიმალური ყურადღება და თანადგომა გავუწიოთ ჩვენს მოსახლეობას. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი გზავნილები“...

პრემიერმა აღნიშნა, რომ შესრულდა დაპირება, — აზარტული თამაშების საკითხი დარეგულირდა ქვეყანაში. მთავრობის მეთაურმა პარლამენტს შესაბამისი კანონის მიღებისთვის კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა. ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მიმდინარე კვირაში იქნება მიღებული გადაწყვეტილებები.

„კიდევ ერთი დაპირება, რაც ჩვენ გვაქვს მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით, ამ თემაზე ჩვენ ამ კვირაში უკვე მივიღებთ გადაწყვეტილებებს, რაც ჩვენი პროგნოზით, მნიშვნელოვნად შეამცირებს მედიკამენტების ფასებს. ფარმაცევტული ბაზრის ანგარიში დასრულებულია, კონკურენციის სააგენტომ დაასრულა უკვე მუშაობა. ბატონი ზურა, ახალი მინისტრი, უკვე შეხვდა კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელს. მათ ერთად დაგეგმეს შემდგომ გასატარებელი ღონისძიებები. ჩვენ ასევე ვაპირებთ, გავხსნათ თურქეთის ბაზარიც, თურქეთიდან შემოვიდეს მაღალი ხარისხის მედიკამენტები, რაც ჩვენი პროგნოზით, გააიაფებს ფასებს მედიკამენტებზე. ამას გარდა, ჩვენ ასევე ვიმუშავებთ კანონმდებლობაზე, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სიტუაციას ამ მიმართულებით“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. პრემიერის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნის თაობაზე და აღნიშნული პროექტი მიმდინარე თვიდან დაიწყება.

„ჩვენ ერთ-ერთი მთავარი პროექტი გვექნება სამუშაო ადგილების საკითხი. მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი ამოცანაა სიღარიბის შემცირება და სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მიზნით, შეგახსენებთ, რომ ჩემი ინიციატივით დავიწყეთ უკვე მუშაობა საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნის თაობაზე, ინიციატივაზე. ბატონი ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით ჯგუფი იყო წასული ევროპაში. რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკული მაგალითი დაამუშავეს და ჩვენ უკვე იანვრიდან ვიწყებთ ამ პროექტს. ჩვენ შევქმნით ათი ათასობით ახალ სამუშაო ადგილს. ჩვენ უნდა შევცვალოთ არსებული სოციალური პოლიტიკა, მოსახლეობას უნდა შევუქმნათ სამუშაო ადგილები და შევამციროთ სიღარიბე. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი ამ წელს. მომდევნო სამი წელი, მოგეხსენებათ, რომ არჩევნები არ იქნება ქვეყანაში. პოლიტიკური ვითარება არის მნიშვნელოვნად დასტაბილურებული და ჩვენ ახლა უნდა ვიმუშაოთ. საქმე, საქმე და საქმე — მხოლოდ საქმეზე უნდა ვიფიქროთ და მოსახლეობას მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ავიცრათ, ავცრათ ჩვენი მეგობრები, მშობლები, ოჯახის წევრები, ვატაროთ პირბადე და დავიცვათ დისტანცია!

ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ბოლო პერიოდში ეპიდსიტუაციას, დაწყებულია დაინფიცირების მორიგი, ახალი ტალღის აღმასვლა, რაც ახალი შტამის, ომიკრონის და სადღესასწაულო დღეებში შეკრებებისა და ზამთრის საკურორტო ზონებში გაზრდილი მობილობით არის გამოწვეული, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მთავრობამ მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდა ვაქცინაციისკენ, პირბადის ტარებისა და სოციალური დისტანციის დაცვისკენ.

„ავიცრათ, ავცრათ ჩვენი მეგობრები, მშობლები, ოჯახის წევრები, ვატაროთ პირბადე და დავიცვათ დისტანცია. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა. ვაქცინები გვაქვს ადგილზე, ამას გარდა ჩვენ უკვე დავუკვეთეთ სამკურნალო მედიკამენტებიც, რომელიც „ფაიზერმა“ შეიმუშავა, ვმუშაობთ „მერკის“ მედიკამენტზეც. პირბადის ტარება არის აუცილებელი, ეს არის პრევენციის და დაცვის საშუალება და ხალხმრავალი შეკრებებისგან თავის აცილება. მესმის, რომ ახალი წლის დღეებში საკმაოდ გაზრდილია მობილობა. ამას გარდა, ომიკრონის შტამმაც განაპირობა ის, რომ შემთხვევების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა, თუმცა ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გვჭირდება კიდევ უფრო მეტი მობილიზება და ის, რაც ხდება ევროპაში, კარგი გაკვეთილია ჩვენთვის. მაგალითად, საფრანგეთში 200 ათასს გადააჭარბა ინფიცირებულთა დღიურმა რაოდენობამ. ამერიკაში ინფიცირების მილიონი შემთხვევა აღირიცხა ერთ დღეში. ამიტომ, ჩვენ უნდა მოვემზადოთ, ვიყოთ მობილიზებული, არ უნდა მოვდუნდეთ იმის გამო, რომ ომიკრონი შედარებით სუსტი შტამია და შედარებით მსუბუქად გადააქვთ მოქალაქეებს. კიდევ ერთხელ უნდა მოვუწოდოთ მოსახლეობას, ვატაროთ პირბადე, დავიცვათ დისტანცია და რაც მთავარია ვაქცინაცია, ეს არის დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება, გავუფრთხილდეთ ჩვენს ახლობლებს და ოჯახის წევრებს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ქადაგიშვილი მიხეილ სააკაშვილის „შავ სიაზე“...

ეს არის კიდევ ერთი მცდელობა, რომ საზოგადოება დაზაფრონ, უნდობლობა გააჩინონ, ჩვეულებრივი ბულინგი მოუწყონ ადამიანებს და საჯარო მოხელეებს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა „ქრონიკას“ მიხეილ სააკაშვილის „შავ სიაზე“ საუბრისას განუცხადა.

„თვითონ პერსონების, რომლებიც ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული, მათი რეპუტაციაც საკმაოდ მძიმეა. ვისურვებდი, სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ სანამ სხვის თვალში ბეწვს მოძებნიან, თავის თვალში დიდი დირე დაინახონ“, — აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თავად არის კორუფციასა და ადამიანის უფლებების დარღვევაში მსჯავრდებული და ბრალდებული, კორუფციონერთა და ადამიანის უფლებათა დამრღვევთა „შავი სიის“ შექმნას ითხოვს. მისი ინიციატივა სპეციალური საიტის შექმნასა და საბრალდებო დასკვნის მომზადებას გულისხმობს. სიაში კი მოხვდებიან მოსამართლეები, პროკურორები და თანამდებობის პირები. ინიციატივის მიხედვით, უნდა მიმართონ საელჩოებს, არ გასცენ სიაში მყოფებზე ვიზები და შემოიღონ პერსონალური სანქციები. სია კი, როგორც მიხეილ სააკაშვილი ამბობს, ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალებით უნდა შედგეს.

„ქაგებეშნიკური“ ხორუმი სანაცვლოში

„ცოტა უსერხულია სექტის ხელმძღვანელზე პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ვთქვა, მაგრამ იყოს პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე კობა ნაყოფია. ალილუია, განახლდა ნაცმოძრაობა კვლავ რუსული აქცენტით. 90-იანი წლების უშიშროების აკადემიის კურსდამთავრებული ნიკანორი, რომლის მამა ანზორისთვის რუსეთი მეორე სამშობლოა, ჩანაცვლდა რუსეთის მოქალაქე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის, რუს „კაგებეშნიკებთან“ ერთად „კვარციტში“ გამდიდრებული კობა ნაყოფიათი. არ ამართლებენ ეტყობა ძველი კადრები, (გრიშა ვაშაძე) ფული იხარჯება, შედეგი არ იდება. მთავარი „კაგებეშნიკიც“ ხომ ამიტომ ჩამოვიდა შორეული ამერიკიდან, რომ ძველი ახლით შეეცვალა, მაგრამ საბედნიეროდ ვეღარ პოულობენ ახლებს. ამის მაგალითი კი ნაყოფიას დანიშვნაა. ამის შემდეგ, კიდევ ჩვენ ვყოფილვართ რუსეთის აგენტები და პუტინის მონები. ჩვენ, რომლებმაც ავირჩიეთ და მხარს ვუჭერთ მთავრობას, სადაც უმეტესობა ევროპაში განათლებამიღებულია, КГБ ფილში აქვთ ნანახი ან წაკითხული. მაგ. ი.კობახიძე, ი. ღარიბაშვილი, შ. პაპუაშვილი და ა. შ. და ა. შ.“ — წერს ექსპერტი ნინო ფოჩხუა facebook ზე.

გონებით განუსჯელი რუსეთის მართლა უნდა გვეშინოდეს!..

უსაფრთხოების სფეროს საექსპერტო წრეების წარმომადგენლების საგანგებო განცხადება

უსაფრთხოების სფეროს საექსპერტო წრეების წარმომადგენლები და სამოქალაქო აქტივისტები საქართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს მოქალაქეების დემოკრატიული არჩევანი – იყვნენ დამოუკიდებელი და თვითონ მართონ საკუთარი ბედი – კიდევ ერთხელ დადგა რუსული ოკუპაციის საფრთხის ქვეშ. დასავლეთის მიმართ გამოთქმული ულტიმატუმის სახით კრემლი პირდაპირ მიანიშნებს, რომ საქართველოს მომავალს მხოლოდ რუსეთის გავლენის და დიქტატის ქვეშ ხედავს.

აღნიშნული მუქარა პირდაპირ შეიცავს საქართველოს წინააღმდეგ, როგორც სამხედრო პროვოკაციების, ასევე ფართომასშტაბიანი აგრესიის განახლების საშიშროებას, რაც საბოლოო ჯამში, ჩვენს ქვეყანას სუვერენიტეტის შეზღუდვით და საერთაშორისო თანამეგობრობასთან, დასავლეთთან სასიცოცხლო კავშირების გაწყვეტით ემუქრება.

აღნიშნული საფრთხის სიმძიმიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ:

მიუღებელია ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირების გაგრძელება, ამ დაპირისპირებაში ქვეყნის რესურსის გაფლანგვა და ის დაუყოვნებლივ უნდა დასრულდეს.

ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის სასწრაფოდ უნდა იქნას მიღწეული ზეპარტიული კონსენსუსი, საგარეო საფრთხის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების და მუდმივ რეჟიმში პოლიტიკური კონსულტაციების გამართვის შესახებ.

ერთიანი უსაფრთხოების საბჭოსა და მთავრობის შესაბამის სტრუქტურებს უნდა დაევალოს სასწრაფო ნაბიჯების განხორციელება მოსალოდნელი სამხედრო კრიზისის საპასუხოდ, როგორც სამხედრო (თავდაცვის), ასევე სახელმწიფოს ფუნქციონირების ყველა სხვა ძირითად სფეროში, როგორიცაა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, კავშირგაბმულობა, ფინანსები და ა.შ.

დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სრულფასოვანი უსაფრთხოების ზოლისა და სისტემის შექმნა, რაც გულისხმობს მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხოებისა და კომუნიკაციის სპეციალური ზომების გატარებას და მუდმივი პატრულირების დაწესებას, ასევე მუდმივი თვალთვალისა და სწრაფი რეაგირების მექანიზმების შექმნას.

აღნიშნული გეგმებისა და ნაბიჯების სწრაფი განხორციელების მიზნით, აუცილებელია მოქმედებათა მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ ხელისუფლებასა და ცენტრალურ უწყებებს შორის, მათ შორის ცენტრსა და რეგიონებში საჭირო მარაგების (სამხედრო და არასამხედრო) შექმნის მიზნით.

მთავრობამ სასწრაფო წესით უნდა უზრუნველყოს მეგობარ ქვეყნებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან გადაუდებელი გეგმების განხილვა და დამტკიცება საქართველოსთვის სამხედრო და სხვა სახის დახმარების უზრუნველსაყოფად, მოსალოდნელი რუსული სამხედრო აგრესიის საპასუხოდ.

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს საზღვარგარეთ უნდა დაევალოთ, სასწრაფო წესით დაიწყონ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წინაშე არსებული რუსული სამხედრო საფრთხის განხილვა და დახმარების აღმოჩენის გზების შეთანხმება.

რუსული აგრესიის შესაკავებლად გადადგმული და განსახორციელებელი ნაბიჯების შესახებ საქართველოს მოსახლეობას და საერთაშორისო პარტნიორებს მუდმივ რეჟიმში უნდა მიეწოდოთ სრული ინფორმაცია და უნდა მოხდეს სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერება.

დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით უსაფრთხოების სფეროს რეფორმაზე ერთობლივი მუშაობა, უსაფრთხოების სფეროში შემავალი დარგების ექსპერტთა აქტიური მონაწილეობით. ამ მხრივ, უზომოდ დიდია პარლამენტის განხილვის, ზედამხედველობის და მონიტორინგის როლი აღნიშნული სისტემის შექმნაში.

* * *

ამ კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს საზოგადოებას არ აქვს უფლება ინერტულად ადევნოს თვალი ქართული სახელმწიფოებრიობის შეზღუდვის მცდელობას. ჩვენი მოვალეობაა, მკაფიოდ მოვთხოვოთ ხელისუფლებას და სრულიად პოლიტიკურ სპექტრს, რომ გადადგან აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დროულად აარიდებს ამ მორიგ განსაცდელს. ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა მოხდეს მოსკოვის მიერ შექმნილი კრიზისის როგორც შესაძლებლობის გამოყენება დასავლურ სივრცეში და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის დასაჩქარებლად“! – ნათქვამია განცხადებაში.

ამ განცხადების ადრესატები არიან:

საქართველოს პარლამენტი;
საქართველოს მთავრობა;
საქართველოს პრეზიდენტი;
თბილისის საკრებულო;
თბილისის მერია;
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
საქართველოს პროკურატურა;
კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
საქართველოს სახალხო დამცველი;
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
საქართველოს ეროვნული ბანკი;
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია;
ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ციხიდან მართული პოლიტიკანების აჯაფსანდალი...

„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ნიკა მელია ჯობა ნაყოფიამ შეცვალა

„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ნიკა მელია ჯობა ნაყოფიამ ჩაანაცვლა. ეს გადაწყვეტილება პარტიამ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღო.

ამასთან, პარტიის გენერალური მდივნის პოსტი პეტრე ცისკარიშვილმა დაიკავა. გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე აღარ იქნება ზაალ უდუმაშვილი და ორგანიზაციის თავმჯდომარეობას ნიკა მელია შეითავსებს. პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას განცხადებით, განახლების აქტიური პროცესი გაგრძელდება.

„რაც უნდა ორგანიზებული პოლიტიკური ძალა არსებობდეს, რაც უნდა პოლიტიკურად შემართული იყოს ესა თუ ის ძალა, გარკვეული დროის შემდეგ მნიშვნელოვანია განახლება და გადანაცვლებები, რომ კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას ქვეყნის და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. ცვლილებების აუცილებლობა განპირობებულია იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომლის წინაშეც დგას „ნაციონალური მოძრაობა“ და ყველაზე მთავარი, ვდგავართ თითოეული ჩვენგანი, ვგულისხმობ ქვეყანას.

გარდაუვალ აუცილებლობად ვთვლი, რომ პარტიამ მნიშვნელოვნად შეცვალოს, როგორც თავისი დღის წესრიგი, ასევე შიგთავსიც კი და ბევრად გასაგები სამართლებრივი, იურიდიული ფორმა ვიყოთ ორგანიზაციული თვალსაზრისით საზოგადოებისთვის. ცვლილებების აუცილებლობა არ არის განპირობებული მხოლოდ იმიტომ, რომ ის, ვინც აქტიური იყო დღემდე პარტიაში, ვერ ართმევდა თავს და სხვა გაართმევს.

არა, არავითარ შემთხვევაში. ჩვენ კარი უნდა გავუღოთ საქართველოს ყველა გამოცდილ მოქალაქეს, მათ უნდა დაინახონ ჩვენში იმედი და პერსპექტივა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ იბრძვის ერთის მეორეთი ჩასანაცვლებლად. ჩვენი ვალდებულებაა, თითოეული თქვენგანი დავარწმუნოთ, რომ არაფერი გვამოძრავებს გარდა ნათელი მომავლისა. პროცესი გაგრძელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, იქნება ცვლილებები პარტიის შიგნით, გაგრძელდება განახლების აქტიური პროცესი.

როდესაც ამ პარტიის ეზოში, პირველად ელექტრონულ ფორმატში პარტიის თავმჯდომარედ ამირჩიეს, კარგად მახსოვს, დაკავებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე ვთქვი, რომ თუ მე ამ ჩემი ხედვების რეალიზებას ვერ მოვახდენ, არ მიღირს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობა, სხვაგვარად ქვეყნის და პარტიის წარმატებას ვერ ვხედავ, თუ არ გატარდა ის მნიშვნელოვანი რეფორმები, რაზეც ვისაუბრე“.

მიჰას ისევ ეროვნული მობილიზება და არდაშლა ესიზმრება!

ვეთანხმები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ რეგიონებში გასვლას და საერთო ეროვნული მობილიზაციის დღის გამოცხადებას, რომლის მთავარი მიზანი იქნება შეკრება და არდაშლა, ვიდრე არ დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები და მე არ შემეძლება უკანონო ტყვეობიდან გარეთ გასვლა, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქ“ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში წერს.

სააკაშვილის თქმით, **უმძიმესი კრიზისიდან ერთადერთი სწორი გამოსავალია საზოგადოების გაერთიანება და რიგგარეშე არჩევნების რაც შეიძლება სწრაფად დანიშვნა.**

ამასთან, სააკაშვილის განმარტებით, საარჩევნო კამპანიაში მისი მონაწილეობისა და ხალხის მობილიზების პირობებში საქართველოს საზოგადოება დიდი უპირატესობით მოიგებს რიგგარეშე არჩევნებს.

„ივანიშვილის პრემიერის დღევანდელი ცინიზმი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს – მათ მთლიანად აქვთ დაკარგული რეალობის გრძნობა და მათგან მხოლოდ ცუდს უნდა ველოდოთ. რაც უფრო სწირად გაიმეორებენ ივანიშვილის „რაც გინდა ის უწოდეები“, რომ ქვეყანაში არჩევნები არ იქნება, მით უფრო სწრაფად ჩატარდება რიგგარეშე არჩევნები. ქართველმა ხალხმა უკვე ბოლო სამ არჩევნებზე გასცა რეჟიმს პასუხი და ვინაიდან არჩევნები, როგორც ინსტიტუტი გაუქმებულია, ამჯერად უპასუხებს ძალიან მძლავრი, სამოქალაქო პროტესტით ქუჩაში – 14 ოქტომბერი ამის მხოლოდ პირველი მერცხალი იყო.

ხალხის გატაცებასა და ძარცვას ბოლო მოეღება და საქართველო ისევ დაუბრუნდება სწრაფ განვითარებას. ქართველები შეძლებენ თავიანთ ქვეყანაში ღირსეულ, მაღალანაზღაურებად დასაქმებას. ბოლო მოეღება უსამართლობას და არავის არასდროს დაისვამენ თავზე. ამ უმძიმესი კრიზისიდან, რომელიც ქვეყანაში მძვინვარებს, ერთადერთი სწორი გამოსავალია საზოგადოების გაერთიანება და რიგგარეშე არჩევნების რაც შეიძლება სწრაფი დანიშვნა.

საარჩევნო კამპანიაში ჩემი მონაწილეობის და ხალხის მობილიზების პირობებში (რასაც ჩვენ ვგეგმავთ) საქართველოს საზოგადოება დიდი უპირატესობით მოიგებს რიგგარეშე არჩევნებს. დღევანდელი დღის შემდეგ მთელ საქართველოს უნდა გავაგებინოთ, რომ გვაქვს კონკრეტული გეგმა და აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ დაწყებულ საქმეს“, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

სააკას თავისუფლება ნამეტნავად „ნაყვარება“...

გიული ალასანია - სააკაშვილს ძალიან ეჩქარება, გამოვიდეს ციხიდან და იყოს თავისუფალი!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედის გიული ალასანიას განცხადებით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია და ნორმალური გამოკვლევა სჭირდება.

„თვითონ რასაც ხედავს და რაც მე მითხრა, აუცილებელია, მას ჩაუტარდეს ნორმალური გამოკვლევა. მაგნიტორეზონანსული გამოკვლევა უნდა გაკეთდეს. დამანახა ხელი, ტრემორი არის ნამდვილად. დანარჩენი მომიყვა. აქვს უძილობა, თავის ტკივილი, ფეხების, ხელების დაბუჟება. არიან ექიმები. ნევროლოგი იყო მოსული. ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩემი შვილი მასთან ურთიერთობით. მანაც დაუმატა მედიკამენტი. იმანაც იგივე თქვა, სჭირდება გამოკვლევა. ჩემი მოთხოვნა რჩება – დაუშვან ექიმები და არა მარტო ჩვენი ექიმები. უცხოეთიდან ვაპირებდით ექიმების ჩამოყვანას და ამის შესაძლებლობა უნდა მოგვეცეს“, – განაცხადა გიული ალასანიამ.

რაც შეეხება კითხვას, რა არის მიხეილ სააკაშვილის გზავნილები, გიული ალასანიამ განაცხადა: **„ძალიან ეჩქარება, გამოვიდეს იქიდან ბოლოს და ბოლოს და იყოს თავისუფალი“.**

ეს რა რჯულის „ყოყოლები“ და ჩოყლაყები გვიტევენ?

როგორც ჩანს, თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს და ვაღიაროთ, მსოფლიო მასშტაბით დასავლური ლიბერალური-დემოკრატია უკან იხევს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხანია ფუკუიამას „ისტორიის დასასასრული“ მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს და ალარავის სჯერა „ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე“ ერთი, უნივერსალური მსოფლიო წესრიგისა, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთი მსოფლიო კონკურენტუნარიანობას თვალსა და ხელს შუა კარგავს. ალარ გამოიყურება ისე ძლევამოსილად, როგორც თუნდაც ამ საუკუნის დასაწყისში: როცა ტერორისტებმა 11 სექტემბრის დამზაფრავი შეტევა მიიტანეს ამერიკაზე და მიუხედავად ამისა, ყველა დარწმუნებული იყო – დასავლეთი ამ დარტყმას ღირსეული პასუხის გარეშე არ დატოვებდა, ხოლო მისი გლობალური კონკურენტუნარიანობა კი არ შესუსტდებოდა, არამედ, პირიქით – უფრო გაძლიერდებოდა კიდეც.

მაგრამ, სამწუხაროდ – ეს ასე არ მოხდა. ამ საუკუნეში დასავლეთის გლობალური უკანდახევის ყველაზე მკაფიო დემონსტრირება ავღანეთის კრახია; გარდა ამისა, ასეთი უკანდახევის აშკარა ნიშანია ჩინეთის, როგორც ლიბერალური დემოკრატიის გამომწვევი ალტერნატივის, პოზიციების შეუქცევადად გამყარება, მათ შორის მისი ხარისხობრივად უფრო მაღალი მდგრადობაც პანდემიის მიმართ. და ისიც, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რასაც არავინ არ ელოდა, ვიდრე 2008 წლის აგვისტომდე: რუსული იმპერიალიზმის აგრესიული დაბრუნება მსოფლიო პოლიტიკაში და დასავლურ ცივილიზაციასთან მძაფრი მეტოქეობის განახლება, რაც სსრკ-ს დანგრევის შემდგომ სრულიად წარმოუდგენელად გამოიყურებოდა. დღეს მივიღეთ ვითარება, როცა ანტიდასავლურად იმპერიული, ე.ი. პუტინისტური რუსეთი აქეთ არის გადმოსული გლობალურ შეტევაზე და ამის დასტურია გასული წლის ბოლოს მისი თავხედური ულტიმატუმი, რაც აგერ, ყაზახეთის მოვლენების დროს „რუსული საქმითაც“ განმტკიცდა;

რუსეთმა ყაზახეთში მოახდინა მკაფიო დემონსტრირება, რომ ჰიბრიდული ომის სტრატეგიასა და ტაქტიკას საუკეთესოდ ფლობს და დიდი ძალისხმევის გარეშე ძალუძს, პროდასავლური ე.წ. ფერადი რევოლუციების საპირწონედ მათი ისეთი „შებრუნებული“ იმიტირება, რაც ლიბერალური დემოკრატიისგან „რუსულ სივრცეს“ ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით, „განკურნავს“!

უნდა ვაღიაროთ, რომ ტრამპის პრეტენზიები „ლიბერასტობით“ დაძაბუნებული ლიბერალური დემოკრატიის მიმართ უაღრესად საფუძვლიანია! სულ უფრო მეტად და მთელს მსოფლიოში იქმნება სავალალო შთაბეჭდილება, რომ ბაიდენი არანაკლებ სამარცხვინო სახეა დაძაბუნებული სისტემისა, როგორიც ბრეჟნევი იყო თიხის ფეხებზე მდგარი კოლოსის – სსრკ-ს კოლაფსის ადრეული მაცნე. ცხადია, ლიბერალური დემოკრატია სსრკ-სავით არ დაინგრევა, მაგრამ მის ასეთ „დაჩმორებასა“ და „ლიბერასტულ“ გადაგვარებას, როცა პუტინს შეუძლია მთელი დასავლეთის ასეთი უტიფრობით შანტაჟი, შეიძლება – დანგრევაც კი ჯობდეს! ერთადერთი გამოსავალი კი ისაა, რაც თავის დროზე, „ცივი ომის“ დროს, რეიგანის ფორმულის სახით მტკიცედ ითქვა – „მშვიდობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ღირსებაა მთავარი!“ ამ ფორმულასთან დასავლეთის დაბრუნება ლიბერალიზმის „ლიბერასტობად“ გადაგვარების შეჩერებასაც ნიშნავს. თუ არადა, აგერ ხომ ვხედვათ – როგორც ჩვენში იტყვიან, „მოიდა ყოყოლი!“.

„ყოყოლი“ კი აუცილებლად მოვა, თუკი, მაგალითად, აშშ-ს საელჩო ამ ვრცელ რეგიონში მთავარი სტრატეგიული პარტნიორის – საქართველოს ხელისუფლებას, არც მეტი, არც ნაკლები – დემოკრატიისათვის „ძირის გამოთხრას“ უსინდისოდ კვლავ დააბრალებს! უფრო გამაოგნებელი ოპორტუნიზმი ასეთ დროს, როცა მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ჯურის „ყოყოლები“ და ჩოყლაყებიც გვიტევენ, უბრალოდ წარმოუდგენელია!..

დავით ზარდიაშვილი

კიტრი შალიკო ქართულ პოლიტიკაში ბომჟად გდია...

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშილმა სოციალური ნიშნით დისკრიმინაციული განცხადებები გააკეთა და ამომრჩეველს პირდაპირი ეთერიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ნათელაშვილს სურს, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეებს კონსტიტუციური უფლება ჩამოერთვათ და მათ არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ მიიღონ.

„ჩვენ ალბათ უნდა გავიდეთ იმ ზღვარზე, რომ ობიექტურად შევხედოთ, ვინ არის ქვეყანაში ამომრჩეველი. კიტრს რომ აიღებს, იმის ამომრჩევლობა არ შეიძლება. სწორედ ამიტომ იყო, რომ მე-20 საუკუნეში ბრიტანეთსა და ცივილიზებულ ქვეყნებში არჩევნების ქონებრივი ცენზი არსებობდა. თუ ადამიანი ბომჟად ეგდო ქუჩაში, ის ვერ იღებდა არჩევნებში მონაწილეობას. იქნება ამ სოციალურად დაუცველებმა დაისვენონ ერთი არჩევნები. ამათი კიტრი და კარტოფილისგან დავისვენოთ. დაისვენონ, არ მოვიდნენ და მოვიდნენ ის ხალხი, ვისაც არ უნდა საკუთარი ნამუსის და ხმის გაყიდვა“, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში...

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით სერგეენკოს განცხადებით, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის განცხადება, რომელიც სოციალურად დაუცველებს უკავშირდება, მიუღებელია. როგორც სერგეენკომ განაცხადა, ნათელაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს.

„არ ვთვლი ხოლმე საჭიროდ, რომ შალვა ნათელაშვილის განცხადებებზე კომენტარები გავაკეთო. უბრალოდ, მისი ეს განცხადება გულზე მომხვდა, იმდენად მიზანტროპული და მიუღებელია ეს ყველაფერი. იმედია, ეს ადამიანი თავის შეცდომას დაინახავს და საზოგადოებას ბოდიშს მოუხდის“, – განაცხადა სერგეენკომ.

ვეშვიდობებით პოეტ რეზო ამაშუკელს!..

ქართული დილა შენი ლექსით კვლავ გათენდება!

რეზო ამაშუკელს

ამ კაცის მკერდში კი არ ძგერდა გული — ელავდა!
გრძნეულ რითმებით თვალს მოსჭრიდა პარნასს, ელადას!
მას წინაპართა წმინდა ხსოვნა ფიცად ებარა,
ის საქართველოს სინდის-ნამუსს გადაეფარა!

ამოაფრქვევდა ხოლმე ლავას, ვითარც ვულკანი,
ვერ ეტეოდა კაცში განცდა, ბედი მუხთალი!
თეთრ ანგელოსებს მისი ცათა მისვლა უხარით,
მის მართალ სიტყვას დღეს აკურთხებს თავად უფალი.

სამშობლოს მიწას მოგაყრიან როცა ბელტებად,
აგიზგიზდება ცხელი გული, არ დანებდება,
რადგან მისი ხმა გაიგონეს უკვე ღმერთებმა!
ქართული დილა შენი ლექსით კვლავ გათენდება.

აკადემიკოსი
ინესა მერაბიშვილი

„ძალიან დამწყვიტა გული თვალსაჩინო პოეტის რეზო ამაშუკელის გარდაცვალებამ. სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულით აღსავსე, განუმეორებელი ხელწერით შექმნილი მისი პოეზია ჩვენი ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი შენაძენია. ამავე დროს იგი იყო თავისი ქვეყნის საუკეთესო მოქალაქე. ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლო წუთამდე, ბატონი რეზოს უკომპრომისო საზოგადოებრივი პოზიცია სამაგალითოა ყველა ჩვენგანისთვის.

ამ მძიმე წუთებში თანადგომას და გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ ბატონი რეზოს ოჯახს და მთელ საქართველოს“.

ირაკლი ღარიბაშვილი.

„საძართველოს პარლამენტის სახელით, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ რეზო ამაშუკელის გარდაცვალების გამო. ბატონი რეზოს გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვის და მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის.

თანაუგრძნობ მის ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს“.

შალვა პაპუაშვილი.

„ღრმა მწუხარება მინდა (და არა მხოლოდ — უნდა) გამოვხატო ბატონი რეზო ამაშუკელის გარდაცვალების გამო. ის არა მხოლოდ მწარედ დაგვაკლდება კარგი პოეზიითა და საზოგადო საქმით, ის დაგვაკლდება ასევე, როგორც სარკე, რომელიც, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, ხანგამოშვებით ჩაწერდა თავის მონოლოგს და იტყოდა... იტყოდა სათქმელს. ჰო, რა თქმა უნდა, ეს ისეთი სათქმელები იყო, რომელთან მიმართებაშიც, „მოდურ“ მავანს გამოხატვის თავისუფლება გამოყენებადი არ ეგონა, რადგან ეს თავისუფლება მხოლოდ ასეთ მავანთათვის შექმნილი ხილი ჰგონია ზოგს.

მაგრამ ამ ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, ჩემი დღევანდელი სათქმელი გამოსამშვიდობებელი მადლობაა. მადლობა, ბატონო რეზო, რომ ამხელა კაცი არ უკადრისობდით ჩემთან დარეკვას, ხან შენიშვნის მოცემას, ხანაც მოსაზრების გაზიარებას და არაერთხელ კიდევ — მხარდამჭერი სიტყვების თქმას. ამ სიტყვებს უფრო შემოძახებად აღვიქვამდი, რაც ადამიანს, რაც არ უნდა „მაგას რა მოუვა“ იყოს, აუცილებლად სჭირდება.

უფრო მეტიც, თქვენ იყავით თქვენი თაობის იმ სულ რამდენიმე წარმომადგენლიდან ერთ-ერთი, ვინც პოლიტიკაში ჩართულ, უმცროსი თაობის ქალს ეტყოდა, რომ არ უნდა დაეცეს, ვინც იცოდა, რომ ხანდაზმულ ასაკში არა ახლის წამოწყების, არამედ — გადახედვისა და გადასინჯვის დროა, შენზე უმცროსის მხარდაჭერის დროა, და იმის გამხნევების დროა, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იქნება, შენ რომ წახვალ... ამ ძალას ყველა ვერ პოულობს თავის თავში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული“.

თეა წულუკიანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 85 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველის, გალაკტიონ ტაბიძისა და საერთაშორისო ლიტერატურული პრემიების ლაურეატი

რეზო ამაშუკელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

კიდევ ერთი საამაყო შვილი დაკარგა ჩვენმა სამშობლომ. გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე

რეზო ამაშუკელი

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს ბატონი რეზოს გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, კოლეგებს და მისი პოეზიის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს.

თამაზ შილაკაძე

„ვწუხვარ ცნობილი ქართველი პოეტის, თბილისის საპატიო მოქალაქის, რეზო ამაშუკელის გარდაცვალების გამო. ბატონი რეზო არის არაერთი პოეტური კრებულის ავტორი. დიდია მისი წვლილი ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ვიზიარებ რეზო ამაშუკელის ოჯახის წევრების, მეგობრების, ქართული კულტურის წარმომადგენელთა წუხილს“.

კახა კალაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს იმის გამო, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თავისი ქვეყნის, ერის ამაგდარი და თავდადებული პატრიოტი

რეზო ამაშუკელი

და გულითადად თანაუგრძნობს მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს. ღმერთმა მიიბაროს და ნათელში დაუმკვიდროს ადგილი მის სულს.

ანზორ ახვლედიანი, მიხეილ ესაკია, ლუარსაბ ჭელიძე, თამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი მეგრელაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ვახტანგ გოგუაძე და ალექსანდრე მეტრეველი ოჯახებით ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი ბავშვობის მეგობარი, გამოჩენილი ქართველი პოეტი

რეზო ამაშუკელი

თინიკო ყალიჩავა-კიკალიშვილი, იური ოსიპოვი და ირაკლი მელაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბავშვობის მეგობარი და დიდი პოეტი

რეზო ამაშუკელი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ჰესები სრულიად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა აშენონ!

უპირველესად ჰიდრომშენებელთა ჩვენი ჯგუფი ულოცავს შრომისმოყვარე, მშვიდობისმოყვარე, სტუმართმოყვარე, მაღალი კულტურისა და მაღალი ზნეობის მქონე სრულიად საქართველოს მოქალაქეებს 2022 წელს. ეს წელი ყოფილიყოს მათი წარმატებების წელი.

ერთ-ერთ დარგში წარმატებების მისაღწევად საქართველოს მოქალაქეებმა მხარი უნდა დაუჭირონ და მონაწილეობა მიიღონ ღონისძიება-პროექტში იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი სიმძლავრის ჰესები უნდა აშენონ საქართველოს მოქალაქეებმა სააქციო საზოგადოებების დაფუძნებით, აქციების გამოშვებით და მათი რეალიზაციით საქართველოს მოქალაქეებზე.

როდესაც რომელიმე იურიდიული თუ ფიზიკური პირი მოახდენს ჰესის პროექტის ფორმირებას, საწყის ეტაპზე პროექტმა თავიდანვე უნდა გაიაროს ექსპერტიზა საექსპერტო განყოფილებაში. ექსპერტიზაგავლილი პროექტი უნდა წარდგენილ იქნეს შესაბამის მუნიციპალიტეტში, ხოლო შემდეგ ეკონომიკის სამინისტროში (თუ საჭირო შეიქმნა სხვაგანაც) პრეზენტაციაზე. საექსპერტო განყოფილება უნდა დაეხმაროს პროექტის ავტორს პრეზენტაციის ყველა დონეზე დადებითი დასკვნის მისაღებად.

მოსაწონი დასკვნის მქონე ჰესის პროექტის ავტორი აფორმებს მემორანდუმს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ პროექტის ავტორი სხვებთან ერთად აფუძნებს სააქციო საზოგადოებას და სარეალიზაციოდ უშვებს აქციებს. მინიმალური ფულადი სახსრებით მიღებისთანავე საზოგადოება იწყებს ჰესის მშენებლობას.

ჰესის მშენებლობის საწყის ეტაპზე საჭირო იქნება დახმარება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან.

როგორც ცნობილია, ყველა რაიონის ცენტრში არსებობს საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენებული აგრობაზრობები. აგრობაზრობებზე ხდება მოსაკრებლების აღება ხელზე და ვისთან მიდის ეს ფული, უცნობია (პროკურატურამ დღესვე უნდა დაიწყოს ამ საკითხის შესწავლა). მუნიციპალიტეტის გამგეობამ აგრობაზრობების ტერიტორიებზე უნდა დააყენოს ავტომატური სალარონები და მოახდინოს ამ ფულით აქციების შეძენა შემდგომ რეალიზაციისათვის.

ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ნამახვანჰესის მაგალითზე. რიონის ხეობის დამცველები (ბატონი გოლეთიანი) ან სხვები თუ დააფუძნებენ ნამახვანჰესის მშენებლობის სააქციო საზოგადოებას, ჩვენ დღესვე მივაწვდით ნამახნანჰესის დაზუსტებულ მახასიათებლებს, რაც იქნება იმისათვის რომ მათ გაიარონ პრეზენტაცია ყველა დონეზე და გააფორმონ მემორანდუმი.

ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ ნამახვანჰესის სიმძლავრე 100 მეტრი დაწნევის შემთხვევაში იქნება 214 მგვტ-ი. ასეთი სიმძლავრის მქონე ჰესის გამომუშავება იქნება 1,12 მილიარდი კვტ.სთ, ხოლო ღირებულება არაუმეტეს 350 მლნ დოლარისა (ადგილზე საპროექტო საძიებო სამუშაოების ჩატარების შემდეგ ღირებულება მნიშვნელოვნად მოიკლებს).

აღმასრულებელი ხელისუფლება ნამახვანჰესის სააქციო საზოგადოებისგან თუ იყიდის ელექტროენერგიას არა 6,3 ცენტად, არამედ 6 ცენტად, ჰესის შემოსავლები იქნება 67,2 მლნ დოლარი წელიწადში, 5,6 მლნ. თვეში, საექსპლოატაციო და სააამორტიზაციო თანხების გამოკლებით 5,52 მლნ დოლარი თვეში.

თუ ერთი აქციის ფასი იქნება 2 ათასი დოლარი, ჰესის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ აქციის მფლობელი მიიღებს 32 დოლარს თვეში.

თვეში 32 დოლარი არ არის მნიშვნელოვანი შემოსავალი, მაგრამ მთავარია, რომ დაახლოებით 175 ათას ფიზიკურ და იურიდიულ პირს გაუჩნდება თითქმის უშრომელი შემოსავლები და გახდებიან ქვეყნის უძრავი ქონების მფლობელები.

ჰესების მშენებლობა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მიერ უნდა გადაიცეს საყოველთაო სახალხო ღონისძიებად. ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი ღვაწლმოსილი და დაფასებული ადამიანების, მათ უნდა დაარწმუნონ არა მარტო შვილები და შვილიშვილები, არამედ ნაცნობები, უცნობები, რომ მათ შეიძინონ თუნდაც ერთი აქცია, თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მყარი გარანტი.

ჯგუფის სახელით დამოუკიდებელი
ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში
ნუგზარ კობახიძე
593 74 82 53

საბაზრო ეკონომიკის სიმახინჯე!

2016 წელთან შედარებით, 2020 წელს მედიკამენტების თვითღირებულება ლარში გაზრდილია 41 პროცენტით, ხოლო დოლარში – შვიდი პროცენტით!

კონკურენციის სააგენტომ ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ფინალური ანგარიში, მიღებული შედეგები და სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები გამოაქვეყნა. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ქვეყანაში 2021 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 10 450 დასახელების მედიკამენტი; 2021 წლის მდგომარეობით ქვეყანაში 3 213 აფთიაქის ოპერირებას ახორციელებს 1 712 ეკონომიკური აგენტი, ათი და მეტი აფთიაქი აქვს 12 კომპანიას — სულ 1238 აფთიაქი. სამი ყველაზე მსხვილი კომპანია ფლობს 927 აფთიაქს.

ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, 2020 წელს 2016 წელთან შედარებით მედიკამენტების თვითღირებულება ლარში გაზრდილია 41%-ით, ხოლო ამერიკულ დოლარში 7%-ით, შესაბამისად, თვითღირებულების ზრდა 34%-ით პირდაპირ კავშირშია ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებასთან ან შესასყიდი მედიკამენტების თვითღირებულების ზრდასთან უცხოურ ვალუტაში.

„2016-2020 წლებში, ბაზრის იმპორტის დონეზე კონცენტრაციის მაჩვენებელი — HHI ინდექსი, სტაბილურად ზომიერად კონცენტრირებული ნიშნულის ფარგლებშია (1289-1799), ხოლო იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა მერყეობს 156-დან 180 ერთეულ კომპანიამდე. მიუხედავად კონცენტრაციის არსებული მაჩვენებლის და იმპორტიორი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა, სამი ყველაზე მსხვილი იმპორტიორი კომპანიის წილი ბაზრის იმპორტის დონეზე სტაბილურად მაღალია (57%-დან 68%-მდე)“...

სააგენტოს მონაცემებით, 2016-2019 წლებში მედიკამენტების ექსპორტის დონის მოცულობა ზრდის ტრენდით ხასიათდებოდა, თუმცა პანდემიურ 2020 წელს სახეზეა ქვეყნიდან ექსპორტირებული მედიკამენტების საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც სავარაუდოდ კავშირშია ექსპორტიორ ქვეყნებში GMP სტანდარტის შემოღებასთან.

„შერჩეულ ექვს სამკურნალო ჯგუფში, დასტურდება როგორც ერთი კომპანიის მიერ ბაზრის 40% და მეტი წილის ფლობა და შესაბამისად სახეზეა დომინანტური მდგომარეობა, ასევე, კომპანიათა ჯგუფის მიერ, რიგ შემთხვევებში კმაყოფილდება ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა საბაზრო წილების სახით და სააგენტოს შეფასებით სახეზეა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობაც. 2016-2020 წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბაზარზე არსებობს მნიშვნელოვან მოთამაშედ ფორმირების მაღალი ბარიერი, რადგან როგორც იმპორტის, ასევე ბაზრის საცალო დონეზე სამი მსხვილი კომპანიის შემადგენლობა 2016-2020 წლებში უცვლელია, რასაც გარკვეულწილად განაპირობებს ბაზრის ჰოლდინგური და მოწყობისა და ვერტიკალური (ჰორიზონტალური) ინტეგრაციის მაღალი ხარისხი. ამასთან, ფარმაცევტული ბაზრის მოქმედი საკანონდებლო მოწესრიგება, კერძოდ ის ფაქტი, რომ ექიმის მიერ რეცეპტის (დანიშნულების) დროს ხდება სამკურნალო საშუალების სავაჭრო დასახელების მითითება, თავისთავად წარმოადგენს ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვან ბარიერს;

სააგენტოს მიერ რეალიზებული მედიკამენტების კონკრეტული კომპანიების დონეზე ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიები მეტწილად (საერთო რეალიზაციის 50% და მეტი) ახორციელებენ იმ მედიკამენტების რეალიზაციას, რაც წარმოადგენს ამავე კომპანიის (კომპანიების) იმპორტირებულ ან ჰოლდინგურ ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ წარმოებულ პრეპარატებს. აღნიშნული გარემოება, სააგენტოს პოზიციით, შესაძლოა წარმოადგენდეს ვერტიკალური (ჰორიზონტალური) ინტეგრაციის, ინტერესთა შეუთავსებლობის ან ბაზრის ჰოლდინგური სტრუქტურის შედეგს“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

ამასთან, კონკურენციის სააგენტოს საცალო რეალიზაციის მონაცემებზე დაკვირვებით დგინდება, რომ თავისუფალი არჩევანის და გადაწყვეტილებების მხოლოდ პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიღების შემთხვევაში, ურთიერთჩამნაცვლებელ მედიკამენტებს შორის კონკურენტული წნეხის არსებობის პირობებში, შერჩეული ჯგუფების და რამდენიმე კომპანიის მხოლოდ საცალო რეალიზაციის დონეზე, 2016-2020 წლებში (პაციენტი) მომხმარებელი დაზოგავდა საშუალოდ 16 მილიონ ლარს Ceftriaxone, Ceftazidime; Cefdinir; Cefpodoxime; Cefotaxime; Cefixime ჯგუფის შემთხვევაში, 5 მილიონ ლარს Enalapril + Hydrochlorothiazide; Lisinopril + Hydrochlorothiazide; Ramipril + Hydrochlorothiazide; Captopril + Hydrochlorothiazide ჯგუფის შემთხვევაში.

ბოსტანქალაქი ლამაზდება

რუსთავში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რამდენიმე მსხვილი პროექტი კი თვის ბოლოს დასრულდება.

რუსთავის მერის ნინო ლაცაბიძის განცხადებით, ქალაქს უახლოეს პერიოდში ახალი საბავშვო ბაღი, რეკრეაციული, საბავშვო და სპორტული სივრცეები შეემატება.

„სარაჯიშვილის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 120 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულების ფაზაშია. მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სკვერი ეწყობა, პროექტის მიხედვით 13 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე კეთდება საფეხმავლო ბილიკები, გარე განათება, ეწყობა საბავშვო და სპორტული სივრცეები, ამფითეატრი, დასასვენებელი სივრცეები, სამუშაოების დასრულების შემდეგ სკვერში დაირგვება 350-მდე ხე-მცენარე. კიდევ ერთი მრავალფუნქციური სკვერის მშენებლობა მიმდინარეობს მე-8 მიკრორაიონში“, — განაცხადა ნინო ლაცაბიძემ.

ძველ რუსთავში დასრულების ეტაპზეა რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციარესტავრაციის სამუშაოები, მონტაჟდება ახალი გარე განათების სისტემა, ეწყობა საფეხმავლო ბილიკები და გამწვანების ზოლები. მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად რამდენიმე უბანში საბავშვო და სპორტული სივრცეები კეთდება.

...ისევ ბეჭდვური მედიის შესახებ

მანიაკებზე გადაღებულ ფილმების უმრავლესობაში არის ერთი საყურადღებო პასაჟი — მანიაკს სურს, რომ იყოს „ცვეტში“, ყურადღების ცენტრში და მუდამ მასზე ლაპარაკობდნენ, მისი ეშინოდეთ.

მინახავს რამდენიმე ფილმში, როცა მას შეუწყვეტენ ე.წ. პიარს, მის გასაგონად აცხადებენ, რომ ის საინტერესო აღარ არის (ვთქვათ, მედიაში ვრცელდება ინფორმაცია მისი ლიკვიდაციის, ან დაკავების შესახებ) და მანიაკი წყობიდან გამოდის.

ნაცმოძრაობის შემთხვევაში საქმე უფრო მარტივადაა.

ისინი ყალბი, მატყუარა ტელევიზიების მეშვეობით მუდმივი ყურადღების ცენტრში იმყოფებიან და ფაქტობრივად ამით სულდგმულობენ.

ამით ჰყავთ „დაჭერილი“ გასექტანტებული ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ რადგანაც მედია ნაცებზე ლაპარაკობს, ე.ი. ძლიერები არიან.

საკმარისია მათ გაუკეთდეს სრული იგნორი ანუ უგულებელყოფა, რომ ჟანგბადი გადაეკეტებათ.

სამწუხაროდ, ბუნებრივი გახდა და საუბედუროდ უკვე მივეჩვიეთ ე.წ. „კრიტიკული მედიის“ მხრიდან მოსახლეობაზე ფეიკებით ძალადობას.

დიახ, მივეჩვიეთ ამ მარაზმს, ფაქტობრივად უკვე მისი ტყვეები გავხდით და ამ დროს აბსოლუტურად გაუგებარია ხელისუფლების ინერტული ქმედება მოსახლეობის ამ ძალადობისგან დაცვის მიმართულებით.

კი ბატონო გასაგებია ის მკვეთრი განცხადებები ნაც-ტელევიზიებში გასული სიუჟეტებისა თუ გადაცემების შესახებ.

ძალიან კარგია, რომ იდება ფაქტები, რომლებშიც თავად ნაცების მხრიდან ჩართული ექსპერტების მიერ ხდება ზუსტი ინფორმაციის გახმიანება.

მისასალმებელია ხელისუფლების დემოკრატიული დამოკიდებულება გამოხატვის თავისუფლების მიმართ, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება უკვე ძალიან მძიმედ ხვდება მოსახლეობას და მატყუარებისა და მოძალადეების მიმართ, ასე ვთქვათ, ლოიალური დამოკიდებულება ხალხის გაღიზიანებას იწვევს, რაც ნაცების მთავარი მიზანია.

არ ვამბობ ისეთი მეთოდების გატარებას, რასაც დიქტატორული რეჟიმები და თავად ნაცები ატარებენ (დიახ, ნაცები დღესაც დიქტატორული მეთოდებით ებრძვიან ნამდვილ თავისუფალ სიტყვას და მათთვის მიუღებელი აზრის ნებისმიერ გახმიანებას).

რადგან ხელისუფლება, ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, არ იღებს კანონს ცილისწამების, სიცრუისა და ძალადობის გავრცელების წინააღმდეგ და იმ რამდენიმე მედიას, რომლებიც ნამდვილად ნორმალური პრინციპებით და სტანდარტებით მუშაობენ, არ ძალუძთ გადაფარონ მოძალადეების ფორსირებული შეტევები, და საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს წვდომა ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე, ერთადერთი გამოსავალი ბეჭდვური მედიის დახმარებაა.

ბეჭდვური მედიის აღორძინება, რომელიც ყველა ოჯახში შევა და ხალხს მიეცემა საშუალება დინჯად წაიკითხოს სიმართლე, გაანალიზოს და გააკეთოს შედარება, არსებული მძიმე ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია.

არ დამიწყოთ ახლა „ჯაააან სვეტური თოქინგობა“ — რაღა დროს გაზეთია, 21-ე საუკუნეში ვაააართო.

ბევრს არაფერს ვიტყვი, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ბეჭდვური მედიის ძალას სააკაშვილი ზუსტად მიხვდა და იმიტომაც სცადა მისი განადგურება, როცა ტრადიციული ჟურნალ-გაზეთები გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყარა და უსახლკაროდ დატოვა!.

ამიტომ კიდევ ერთხელ ვიტყვი და მუდმივად გავიმეორებ — უნდა გაძლიერდეს თავისუფალი და ნამდვილი ბეჭდური მედია და ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს მასზე წვდომა.

გია გაბრიჭიძე

103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ გადასარჩენია!

1918 წლის 25 ივლისს დაბადებული პირველი დამოუკიდებელი მაშინდელი მთავრობის მოამბე „საქართველოს რესპუბლიკა“ რის ვაი-ვაგლახით დღესაც გამოდის!

რასაც აქ წაიკითხავ, ვერც ერთ სოციალურ ქსელში ვერ ნახავ, ვერც ერთი ქართული ტელეეკრანიდან ვერ მოისმენ!

გაზეთი მაინც შეუცვლელია, ყოველი წიგნიერი კაცისთვის გაზეთის კითხვა სულის ბუნებრივი მოთხოვნილებაა!

კოვიდ 19-ის პანდემიამ, როგორც ყველაფერს, ჟურნალ-გაზეთების გავრცელებასაც დიდად ავნო, მკითხველმა იკლო, რეკლამამ იკლო, თითქმის არც ერთი პერიოდული გამოცემა არ იყიდება, უფრო ზუსტად, ძალიან ცოტა იყიდება! ბუნებრივია, ეს მომაკვდინებლად მოქმედებს ბეჭდვურ მედიაზე! ერთადერთი გზა, რაც გადაარჩენს ქართულ პრესას, ის არის, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ, ჭკუადამჯდარმა ხალხმა გამოძებნოს უმცირესი ფინანსური საშუალება და პირი იბრუნოს პრესისკენ, ყოველდღიურად იყიდოს ან გარკვეული დროით გამოიწეროს ესა თუ ის გამოცემა, იმათ შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე ძველი, სანდო და პრინციპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, 103 წლის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

გულწრფელად და დიდი სინანულით უნდა გითხრათ:

„საქართველოს რესპუბლიკა“ რომ რიგითი მკითხველის, ქართული ბიზნესის და დღევანდელი მთავრობის უყურადღებობის გამო დაიხუროს, ერის საერთო სირცხვილია!

ეს იმაზე უარესია, რაც იმთავითვე შეურაცხადმა, გიჟმა და მავნებელმა მიხეილ სააკაშვილმა უქნა ქართულ პრესას, როცა 2007 წლის 10 აგვისტოს ქართველ ჟურნალისტთა მთელი არმია, 30-ზე მეტი რედაქცია თავისივე სახსრებით აშენებული პრესის სახლიდან — გამომცემლობა „სამშობლოდან“ დაუნდობლად გამოყარა!

სწორედ იქიდან დაიწყო ქართული ბეჭდვური მედიის დაღმასვლა და განადგურება! ნუ ვჭამთ კიდევ ერთ საყოველთაო ეროვნულ სირცხვილს, ქართველებო!

გადაარჩინეთ ქართული პრესა!

იყიდეთ, გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ: „ელვა.ჯი“, www.elva.ge;
ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ — 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ: ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

საქართველოს ეროვნული არქივი ნამდვილი განძთსაცავია...

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა 2021 წელს, პანდემიის მიუხედავად, არაერთი პროექტი განახორციელა და სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად იმუშავა.

შემუშავდა ეროვნული არქივის განვითარების 3-წლიანი სტრატეგია. წლის განმავლობაში ეროვნული საარქივო ფონდი შეივსო წერილობითი, კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტებით, მათ შორის: მმართველობითი შინაარსის 12 ათასზე მეტი საარქივო საქმე, 145 კინო, 280 ფოტო და 26 ფონოდოკუმენტი. გაიცა 16 ათასამდე საარქივო ცნობა, მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში — 38 ათასამდე ცნობა და მიწის სპორადული რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში — 77 ათასამდე ცნობა. აქტიური იყო მკვლევართა მომსახურებაც — საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზები 1056 მკვლევარს მოემსახურა. 2021 წელი გამორჩეული იყო დოკუმენტების რესტავრაციის მიმართულებითაც: 18-თვიანი მუშაობის შემდეგ დასრულდა XII საუკუნის ოთხთავის რესტავ-

რაცია, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის ლახამულის თემის წმინდა გიორგის ტაძარში ინახება. გარდა ამისა, რესტავრაცია ჩაუტარდა არქივში დაცულ 17 ათასამდე ფურცელს.

დოკუმენტების დედნების უკეთ დაცვისა და ხელმისწავდომობის გაუმჯობესებისათვის ეროვნული არქივის დოკუმენტების დიგიტალიზაციის ჯგუფმა ციფრულ ფორმატში გადაიტნა წერილობითი დოკუმენტების 1100 ათასი გვერდი, 440 კინოდოკუმენტი, 3 ათასამდე ფოტო, 207 აუდიოჩანაწერი. დაიწყო 1935-2005 წლების საკომლო ჩანაწერების გაციფრულება და ანოტირება.

ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში მოეწყო 5 გამოფენა, გამოიცა 3 წიგნი: „სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმები“, „მეფე ერეკლე“ და „მარო თარხნიშვილის მოგონებები“.

ეროვნული არქივის კინოდარბაზმა 6 კინოჩვენებას უმასპინძლა, ასევე ეროვნულ კინოცენტრთან ერთად ჩატარდა რეტროსპექტივა „ქართული კინო 1920-1930“, რომლის ფარგლებში ნაჩვენები იყო ეროვნულ არქივში ციფრულად აღდგენილი 21 ფილმი.

რკინიგზის ევროპულ წელთან დაკავშირებით ევროპულ საარქივო პორტალზე (**APEx**) გამოქვეყნდა ფოტოები საქართველოს რკინიგზის თემატიკაზე; კომპანია „ჯეპრას“ და კალიგრაფ დავით მაისურაძესთან ერთად შეიქმნა ქართული ანბანის სამი სახეობის შრიფტები; ეროვნული არქივის ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდზე განთავსდა 5 ვირტუალური გამოფენა, 10 მულტიმედირი გვერდი და 15 საარქივო კოლექცია.

2021 წელს ახალციხეში გაიხსნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივის ახალი შენობა, რომელშიც განთავსდება ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და ნინოწმინდის საარქივო ფონდები.

როდის ეწურება ვადა საქართველოში შემოტანილ კოვიდვაქცინებს?!

ამირან გამყრელიძემ საქართველოში გამოყენებული კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინების ვარგისიანობის ვადებზე ისაუბრა.

„ქვეყანაში ამ ეტაპზე გვაქვს 550 ათას დოზამდე Pfizer-ის ვაქცინა, რომელსაც ვადა აქვს 31 მარტამდე. გვაქვს კიდევ დაახლოებით 1,5 მილიონი Sinopharm-ი და Sinovac-ი, რომელსაც ვადა აქვს 2023 წლის ივნის-ივლისამდე, ანუ, საკმაოდ ვადიანი არის. რაც შეეხება, ახალ შესყიდვებს, გიდასტურებთ, რომ უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს მოლაპარაკება Pfizer-თან წელს დამატებით 2 მილიონი დოზის შესყიდვასთან დაკავშირებით. მათ შორის, საუბარია ბავშვების დოზებზე, მოგეხსენებათ, 5-11 წლის ასაკისთვის დოზა 12 წელზე ზევით დოზისგან განსხვავდება. ასევე, საუბარია იმაზე, რომ თუ Pfizer-ს ექნა „ომიკრონისთვის“ სპეციფიკური ვაქცინა, საქართველოს ამაზეც აქვს განაცხადი გაკეთებული“.

ინფექციური საავადმყოფო ახალ შენობაში გადავა

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნიას განცხადებით, ინფექციური საავადმყოფო ახალ შენობაში სავარაუდოდ მომავალ წელს გადავა.

როგორც გაბუნიამ განაცხადა, ჯანდაცვის ახალი მინისტრი უკვე შეხვდა პროცესში მონაწილე მხარეებს და აღნიშნულ საკითხში აქტიურად არის ჩართული.

„ეს კლინიკა არის სტრატეგიული მნიშვნელობის. ბატონი მინისტრი მისი სამინისტროში ყოფნის პირველივე დღეს შეხვდა ამ პროცესში მონაწილე ყველა მხარეს, მათ შორის ესტუმრა შიდსის ცენტრს, ჰქონდა კომუნიკაცია „ავერსის“ კლინიკის ხელმძღვანელობასთან, რომ შევთანხმდეთ მომავალი წლის ხელშეკრულებაზე. ბუნებრივია, ამ პროცესზე და რემონტის საკითხებზე აქტიური მუშაობა მიდის, რომ წელს იყოს ის ბოლო ვადა, როდესაც დასრულდება ახალი შენობის რემონტი, გარკვეული ადაპტაცია სჭირდება მას ინფექციის კონტროლის მიზნებისთვის. ამიტომ, გართულდა და გახანგრძლივდა ეს პროცესი, რადგან სპეციფიკური ტექნიკური დახმარება და ექსპერტიზაა საჭირო, რომ შენობა შესაბამისად მოეწყოს. ვფიქრობ, წელს იქნება ის ბოლო ვადა, რომ ინფექციური დაავადებების ცენტრი გადავიდეს ახალ შენობაში და ეს საკითხი დაისუროს. არავითარი რისკი შიდსის ცენტრის ფუნქციონირებას არ შეექმნება. მინისტრი უშუალოდ უზრუნველყოფს ამ პროცესების მართვას, ეს საკითხი არის მის პირად კონტროლზე“, — განაცხადა გაბუნიამ.

კახა კალაძე: 2022 აღმშენებლობის წელი იქნება!

თბილისის მერიაში მთავრობის პირველი სხდომა გაიმართა

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის 2022 წლის პირველი მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ 24-საათიანი შრომით, თბილისი კიდევ უფრო გამწვანდება და მეტი ქუჩა განახლდება.

მისი თქმით, ყველა გამოწვევა წარსულში დარჩება და განვითარების და აღმშენებლობის წელი იქნება.

— მინდა, მივმართოთ დედაქალაქში მცხოვრებ ადამიანებს და ვთხოვო მხოლოდ ერთი რამ: დარჩით ამ ქალაქის გულშემატკივრად, მის მეგობრად, ყველა მიმდინარე პროცესის თანამოზიარედ. ის, რაც თბილისში კეთდება, კეთდება თქვენთვის, ჩვენთვის, ჩვენი შვილებისთვის. ჩვენი მიზანია, რომ ქალაქში ყველაფერი იყოს მოწესრიგებული. მხოლოდ ერთობით, საერთო ზრუნვით შევძლებთ უკეთეს თბილისში ცხოვრებას. მაქვს თქვენი მხარდაჭერის იმედი, რაც მაძლევს ძალას, ჩემს გუნდთან ერთად, შევუდგე უამრავი მასშტაბური პროექტის განხორციელებას. ასე იყო 2017 წლიდან მოყოლებული. ყოველდღიურად ვგრძნობდით თქვენ თანადგომას, მხარდაჭერას, რაც კიდევ უფრო მეტ ძალას გვაძლევდა მუშაობისთვის. ვუსურვოთ ერთმანეთს წარმატებები თბილისის საკეთილდღეოდ“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ერთ-ერთი პირველი პროგრამა, რომელიც დღეიდან ამოქმედდება, მედიკამენტების 500-ლარიანი ვაუჩერების პროგრამაა.

მისი თქმით, ამ პროგრამის ბენეფიციარები თბილისში რეგისტრირებული საპენსიო ასაკის პირები იქნებიან, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 200 000-ს არ აღემატება.

„ეს არის ყოველწლიური და არა ერთჯერადი ვაუჩერი, რომლის გამოყენება ბენეფიციარებს მათი შეხედულებისამებრ, ექიმის დანიშნულებიდან გამომდინარე, მთელი წლის განმავლობაში, ლიმიტის ამოწურვამდე შეეძლებათ. მოქალაქეს ვაუჩერის მისაღებად მერიაში, ან რაიონის გამგეობაში მისვლა არ დასჭირდება და კრიტერიუმების დაკმაყოფილებისთანავე, ავტომატურად გახდება პროგრამის მოსარგებლე“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც მიკროავტობუსების სრულად ჩანაცვლებას ეხებოდა, შესრულებულია. მისივე განცხადებით, 1 000 ერთეული მიკროავტობუსი უკვე თბილისშია, რომელიც ეტაპობრივად გაეშვება ქსელში და რამდენიმე დღეში ე.წ. ყვითელ მიკროავტობუსებს სრულად ჩაანაცვლებს.

„ქალაქში არ იმოძრავებს არც ერთი ძველი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა თუნდაც გადაადგილების თვალსაზრისით. ავტობუსებს ყველანაირი რესურსი ამოწურული ჰქონდა. იგივე შემიძლია ვთქვა მიკროავტობუსებზე, რომლებიც ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს უკვე სრულად განახლებული და მოწესრიგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოემსახურება თბილისის მოსახლეობას“.

გარდა ამისა, თბილისის მერმა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ახალ სისტემაზეც გაამახვილა ყურადღება. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ულიმიტო სამგზავრო აბონემენტების გაყიდვების ნახევარი ერთწლიან ბარათებზე მოდის.

თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ 56 წლის წინ თბილისის მეტროს დიდუბე-რუსთაველის მონაკვეთი ოფიციალურად გაიხსნა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, მრავალწლიანი სტაჟის მქონე 15 თანამშრომელს საპატიო თანამშრომლის წოდება მიენიჭა.

საპატიო თანამშრომლის წოდება მიენიჭათ ჯუმბერ მერაბიშვილს, ავთანდილ ჯანეზაშვილს, იური ენუქიძეს, ალექსანდრე გოგინაშვილს, ვალერიან კავკავაშვილს, გელა იტრიაშვილს, რობიზონ სარდლიშვილს, რევაზ თიკანაშვილს, რევაზ ჩიტაშვილს, ნიკოლოზ დათებაშვილს, გოჩა ლელუაშვილს, ბადრი ქუხილავას, მიხეილ ყიფშიძესა და ვაჟა გიგილაშვილს.

„თბილისის მეტრო გამორჩეულად მოთხოვნადი, უსაფრთხო და სწრაფი ტრანსპორტია, რომლითაც ყოველდღიურად, დაახლოებით, 200-250 ათასი მგზავრი გადაადგილდება. მისი ამოქმედებიდან 56 წელი შესრულდა. თბილისში მეტროს მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 წლის შემდეგ, 1966 წლის 11 იანვარს ოფიციალურად გაიხსნა დიდუბე-რუსთაველის მონაკვეთი. ამ ხნის განმავლობაში, მეტროს ასობით თანამშრომელი ემსახურება და სწორედ მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული მგზავრების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. წელს, ტრადიციულად ჯილდოვდებიან ის გამორჩეული თანამშრომლები, რომლებიც მრავალი წელია ემსახურებიან ამ საქმეს. მათ საპატიო თანამშრომლის წოდება მიენიჭებათ. კონკრეტულად ამ თანამშრომლების სტაჟი 32-დან 52 წლამდე მერყეობს, რაც ვფიქრობ, საქმის სიყვარულის და ერთგულების მანიშნებელია. მინდა, ამ ადამიანებს გულწრფელად გადავუხადო მადლობა იმისთვის, რასაც ისინი ყოველდღიურად აკეთებენ ამ ქალაქისთვის, აკეთებენ მეტროს გამართული ფუნქციონირებისთვის, რაც ნამდვილად დასაფასებელია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, საპატიო თანამშრომლის წოდება ენიჭება აწ გარდაცვლილ მერაბ ჩადუნელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელმაც 42 წელი იმუშავა თბილისის მეტროში. ჯილდო მის ოჯახს გადაეცემა.

გარდაიცვალა ევროპარლამენტის პრეზიდენტი

ევროპარლამენტის პრეზიდენტი, დავიდ სასოლი გარდაიცვალა. ის 65 წლის იყო. ამის შესახებ სააგენტო Reuters-ი მის პრესსპიკერზე დაყრდნობით იუწყება.

დავიდ სასოლი იტალიის ქალაქ ავიანოს საავადმყოფოში გარდაიცვალა, სადაც ის გასული წლის ბოლოს, იმუნური სისტემის მძიმე დისფუნქციის გამო გადაიყვანეს. დავიდ სასოლი ევროპარლამენტის პრეზიდენტის თანამდებობას 2019 წლიდან იკავებდა. მას უფლებამოსილება მიმდინარე თვის ბოლოს ეწურებოდა.

ნატო ღია კარის პოლიტიკას არ შეწყვეტს!

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ვენდი შერმანმა ჟენევაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, სერგეი რიაბკოვთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა, რომ აშშ ნატოში ახალი წევრების მიღებაზე შეზღუდვებს არ ეთანხმება.

„არავის მივცემთ ნატოს ღია კარის პოლიტიკის შეწყვეტის უფლებას, რომელიც ალიანსისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო“, — აღნიშნა ვენდი შერმანმა. ვენდი შერმანის თქმით, აშშ უკრაინის სიტუაციასთან დაკავშირებით უკრაინის ხელმძღვანელობასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე გადაწყვეტილებებს არ მიიღებს.

რუსი ჯარისკაცები ყაზახეთის 2 კვირაში დატოვებენ

ყაზახეთის პრეზიდენტმა, ყასიმ-ჟომართ თოყაევმა ქვეყანაში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის მისიის დასრულება გამოაცხადა.

ყაზახეთის პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყნიდან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ძალების გაყვანა ორ დღეში დაიწყება და 10 დღემდე გაგრძელდება.

„კონტრტერორისტული ოპერაციის მწვავე ფაზა უკვე გავიარეთ. ქვეყნის ყველა რეგიონში სიტუაცია სტაბილურია. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების ძირითადი მისია წარმატებულად დასრულდა. ორ დღეში ძალების ეტაპობრივი გაყვანა დაიწყება. კონტინგენტის გაყვანის პროცესს სადღაც 10 დღე დასჭირდება“, — აღნიშნა ყაზახეთის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ყაზახეთზე თავდასხმის გეგმა სხვადასხვა ასპექტს მოიცავდა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მზადებაზე პროფესიონალები მუშაობდნენ.

ნობელიანტს კიდევ ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს

მიანმარის სპეციალურმა ტრიბუნალმა ქვეყნის ყოფილ ლიდერს, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს აუნ სან სუ ჩის კიდევ ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლომ პოლიტიკოსი დამნაშავედ ცნო პერსონალური რაციების ქვეყანაში უკანონოდ შეტანასა და შენახვაში, ასევე კოვიდრეგულაციების დარღვევაში.

ბოლო ერთ თვეში 76 წლის აუნ სან სუ ჩისთვის ეს მეორე განაჩენია. დეკემბრის დასაწყისში პოლიტიკოსი დამნაშავედ ცნეს კოვიდსაწინააღმდეგო რეგულაციების დარღვევასა და არეულობის წაქეზებაში და ასევე 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მოგვიანებით კი განაჩენი 2 წლამდე შეუმცირეს.

ახალი საქმის განხილვა კვლავ დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა. უფლებადამცველებმა ორივე ბრალდებას და სასამართლო პროცესებს უკვე უწოდეს აბსურდული და პოლიტიკურად მოტივირებული. ამის გარდა, მიანმარის ხუნტა აუნ სან სუ ჩის ადანაშაულებს კორუფციაში, ღალატში, სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებასა და არჩევნების გაყალბებაში. თუ პოლიტიკოსს ყველა ამ ბრალდებაში დამნაშავედ აღიარებენ, მას საერთო ჯამში 100 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

აუნ სან სუ ჩი პარტია „ეროვნული ლიგა დემოკრატიისათვის“ ლიდერია. მან 15 წელი შინა პატიმრობაში გაატარა. 1991 წელს გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. 2015 წელს არჩევნებში პარტიის გამარჯვების შემდეგ აუნ სან სუ ჩი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი და ფაქტობრივად, სახელმწიფოს ლიდერი გახდა. მიანმარი გადატრიალების შემდეგ სულ უფრო ეფლობა ქაოსსა და ძალადობაში. საქველმოქმედო ორგანიზაციების მონაცემებით, ხუნტის საწინააღმდეგო პროტესტების დროს სულ მცირე 1 447 ადამიანი მოკლეს, 11 400-მდე კი დააპატიმრეს.

თერთმეტჯერ აცრილს დაპატიმრება ელის...

პანდემიის ორწლიანი მიმდინარეობისას მსოფლიო საზოგადოებას არა ერთი უცნაური ამბავი სმენია. ის, რასაც ახლა გიამბობთ, ალბათ ყველაზე საინტერესოდ მოგეჩვენებათ. ინდოეთში 84 წლის მამაკაცმა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 11-ჯერ გაიკეთა და მეთორმეტე მცდელობისას გამოიჭირეს. უცხოური მედიის ცნობით, ამ უკანასკნელს კანონის წინაშე პასუხისგება მოუწევს.

ინდოეთის 84 წლის მოქალაქემ 11-ჯერ ვაქცინირება სხვადასხვა პირადობის დამადასტურებელი მოწმობებითა და სატელეფონო ნომრებით მოახერხა.

მან ოჯახის წევრების საბუთები გამოიყენა.ბრამადეო მანდალმა განაცხადა, რომ ეს ყოველივე იმიტომ გააკეთა, რომ ყოველი ახალი დოზის შემდეგ თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა. ინდოელის თქმით, ვაქცინამ ის გრიპისგან და წელის გარშემო ქრონიკული ტკივილებისგან დაიცვა. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

გინდ – დაიჯერეთ, გინდ – არა!..

სიმართლე გითხრათ, დიდად არც გამკვირვებია, როცა ცოტა ხნის წინათ ჟურნალ „რუსკი კლუბში“ რუსეთელ მკვლევართა ცნობა წავიკითხე იმის თაობაზე, რომ საჰაერო ნაოსნობის ქვეყანა (რადიოსთან, ელექტრონათურასთან, ორთქმავალთან და კიდევ აუარება სხვა რამესთან ერთად) რუსეთი ყოფილა!

ამის შესახებ თურმე, თავდაპირველად ჟურნალისტსა და მწერალს, პოპულარიზატორსა და ისტორიკოსს ალექსანდრე როდნიხს „1901 წელს გაზეთ „როსიაში“ წერილი – „რუსეთში საჰაერო ფრენის თაობაზედ“ გამოუქვეყნებია. მასში კი რიაზანელი ქვედიაკვნის, ვინმე კრიაკუტნოის ამბავი იყო მოთხრობილი, რომელმაც მსოფლიო პირველმა იფრინა საჰაერო ბურთით.

აღნიშნული თხზულებისთვის ა. როდნიხს ცნობილი მიბლიოფილისა და მიბლიოგრაფის იაკობ მერეზინ-შირიაევის მიბლიოთეკის შესწავლისას მიუგნია. ნაწყვეტში, კერძოდ ნათქვამია: **„1731 წელი. რიაზანში, ვოევოდას თანდასწრებით, ქვედიაკვან კრიაკუტნოიმ ბურთი შეკერა დიდი ტომრისგან, რომელიც საზიზღარი და მყრალი ბოლით გაავსო, თოკისგან მარყუჟი დაგრიხა, შიგ ჩაჯდა და უწმინდურმა ძალამ აიტაცა ის არყის ხეზე მაღლა, მერმე კი სამრეკლოს მიანარცხა, მაგრამ მან ზარის თოკზე მოჭიდება მოასწრო და ამით გადარჩა. თავდაპირველად მისი ცოცხლად დამარხვა ან დაწვა ეწადათ, მერე კი ქალაქიდან გააძევეს და წავიდა იგი მოსკოვს“.** ბოლოს კი მიწერილი იყო – „ამ ცნობას ისტორიულად დანამდვილებით დადასტურებული პირი, რიაზანის ყოფილი პოლიცმეისტერი ბოგოლეპოვი იტყობინება“.



ერთი წლის შემდეგ კი ა. როდნიხი პრესაში აცხადებს, რომ ეს ხელნაწერი – უმნიშვნელოვანესი საბუთია იმისა, რომ **„საჰაერო ბურთების გამოგონების პირველობა მსოფლიოში რუსეთს ეკუთვნის, სადაც მას საფრანგეთში მონგოლფიერებისა და შარლიერების გაჩენამდე 60 წლით ადრე მიმართავდნენ“.**

ამის შემდეგ, ა. როდნიხი აქტიურად ეწევა თავის მიერ მიგნებული ხელნაწერის, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, „პრომოუშენს“. მისი ფურცლების ფოტოასლებს აქვეყნებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის გერმანიის მუზეუმში, რუსეთში კი მათ მანეთი და 20 კაპიკად ყიდის, ცნობებს კრიაკუტნოის შესახებ გამუდმებით აქვეყნებს თავის წიგნებსა და საგაზეთო პუბლიკაციებში. გარდა ამისა, გულადი ღვთისმსახურის ამბავი ცნობილი „ბროკჰაუზისა და ეფრონის ახალი საენციკლოპედიო სიტყვარის“ მე-4 დაუსრულებელ ტომშია შეტანილი... რიაზანელი ღვთისმსახური არც საბჭოურ დროში დავიწყებიათ: 1927 წელს „საჰაერო სამართლის ისტორიაში“ მის შესახებ წერდა საერთაშორისო სამართლის მცოდნე ვ. გრამარი; სამი წლის შემდეგ სტატია მის შესახებ დაიბეჭდა „მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-5 ტომში; 1935 წელს საბავშვო მწერალმა ა. ივიჩმა ეს ამბავი წიგნში „გამოგონებათა თავგადასავლებში“ შეიტანა; 1938 წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის ისტორიკოსმა ვ. ვირგინსკიმ ის წიგნში „საჰაერო ნაოსნობის დამატებაში“ მოიხსენია...

მოკლედ, 1940-50-იან წლებში „რიაზანელმა ფრთოსანმა“ იმხანად სსრ კავშირში გაჩაღებულ „უჯიშო კოსმოპოლიტიზმთან“ და „დასავლეთის წინაშე კერპთაყვანისმცემლობასთან“ ბრძოლის ხაზზე მოწინავე პოზიცია დაიკავა – „ურა-პატიოტულ“ განწყობათა გასაღვივებლად კრიაკუტნოის ამბავი ძალზე ხელსაყრელი არგუმენტი გამოდგა. 1949 წელს გულადი ქვედიაკვნის შესახებ გაზეთი „იზვესტია“ წერს. მის შესახებ სტატიები „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ფუნდამენტურ კრებულებში და სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი ქვეყნდება. 1956 წელს კრიაკუტნოის ფრენის 225 წლისთავის აღსანიშნავად უშვებენ საფოსტო მარკას, ნერეხტის პარკში მას უდგამენ სამახსოვრო სტელას, რომელთანაც ბავშვებს პიონერებში იღებენ, მის სახელს არქმევენ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას...

ერთი სიტყვით, ჩამონათვალის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლებოდა, მაგრამ ამის გაკეთებას აზრი თუნდაც იმიტომ არა აქვს, რომ მთავარი ფაქტი – ღვთისმსახურ კრიაკუტნოის საჰაერო ბურთით გაფრენა არასდროს მომხდარა! მეტიც: თავად ღვთისმსახურ კრიაკუტნოისაც არასდროს არათუ არ უფრენია, ასეთი კაციც კი არ არსებობდა!

მთელი ეს ამბავი – ქართველ აზნაურთა შთამომავლის ალექსანდრე სალუქვაძევის მოგონილი ყოფილა!

სამოლოო ანგარიშით გამოვიდა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე უზარმაზარი ქვეყანა – საბჭოთა კავშირი – მისტიფიკაციას ეთაყვანებოდა!

მაშ, ვინ იყო ეს კაცი, რომლის მონაგონს ასეთი გაუგონარი გამოხმაურება მოჰყვა?

იმერელი აზნაურის – **გრიგოლ სალუქვაძის** ვაჟიშვილი **ალექსანდრე** თავს თავადს კი უწოდებდა, მაგრამ საბუთებით ეს არ დასტურდება. პაპამისი რუსეთში 1724 წელს მეფე ვახტანგ VI-ს ჩაჰყვა, მისმა შვილმა ივანემ განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო, მსახურობდა ქალაქ რიაზანის მთავარ არქიტექტორად, გადადგა ტიტულარული მრჩევლის რანგში. 1771 წელს კი, მეუღლე ეკატერინე ბოგოლეპოვასთან ვაჟიშვილი ალექსანდრე შეეძინა, რომელსაც ზოგიერთნი ისტორიის ფალსიფიკატორად თვლიან, სხვები კი ბრწყინვალე მისტიფიკატორად მიიჩნევენ.

ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკი პოლკიდან ალექსანდრე სალუქვაძე პრაპორშჩიკის წოდებით გადადგა, შემდეგ მსახურობდა ყაზანის ტაძრის სამშენებლო კომისიაში, ასრულებდა შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსი კურაკინის მდივნის მოვალეობას. იგი პეტერბურგში, სემენოვის პოლკში საკუთარ სახლში ცხოვრობდა და მთელი ცხოვრების მანძილზე ავსებდა მამისგან დანატოვარ ბიბლიოთეკას ახალ-ახალი, როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერი წიგნებით. საინტერესო მოვლენებს კი, რომელთა მომსწრე ხდებოდა, დღიურში ინიშნავდა.

მაგრამ, განსაკუთრებით მას ძველი ისტორია იტაცებდა, პირველ ყოვლისა, წარსულის არტეფაქტები. იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალ პუბლიკაციებს არქეოლოგიისა და ისტორიის თემატიკაზე. მან შეაგროვა ძველი წიგნების, ხელნაწერების, არტეფაქტებისა და თავისი თანამედროვე მოარული ხმებისა და ჭორების უზარმაზარი კოლექცია. მისმა ამ გატაცებამ შესამჩნევი, თუმცა კი ერთობ სპეციფიკური კვალი დატოვა რუსულ ისტორიოგრაფიაში. საქმე ისაა, რომ **საკუთარი კოლექციის სიძველეთა ნაწილს ალექსანდრე სალუქვაძე აყალბებდა**. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ რუსეთის ნაღდ ისტორიას იგი მეტისმეტად მოსაწყენად თვლიდა და ამიტომაც შეძლებისდაგვარად ალამაზებდა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელი მიჰყო მისტიფიკაციას და „ნოვგოროდული რუნების“ რაღაც უცნაური ანბანიც შეთხზა, რეალურ დოკუმენტებში შესწორებები შეჰქონდა და მინაწერებს აკეთებდა, ძველს მიმსგავსებულ

და „მზის სხივებში დაბერებულ“ პერგამენტულ ნუსხებს ადგენდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამას არა „აღმოჩენების“ სარფიანად გაყიდვის, არამედ მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით, თავის კოლექციაში ძველი დროის იშვიათი მოწმობების ქონის სურვილით აკეთებდა.

ამ მხრივ მისი ყურადღების ცენტრში ფრენა იყო და სწორედ მან შექმნა ხელნაწერი „რუსეთში საჰაერო ფრენის თაობაზედ“. სწორედ ამ „ისტორიულ წყაროში“ ჩნდება რიაზანელი კრიაკუტნოი, რომლის შესახებ ცნობა კოლექციონერის ბიბლიოთეკის კედლებს გასცდა. ამ ამბავმა მკვლევარებში უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია, მისი პუბლიკაციის უფლებაში ბევრნი მზად იყვნენ დიდძალი ფული გადაეხადათ. მაგრამ ალექსანდრე სალუქვაძეები კატეგორიულ უარზე იდგა...

1832 წელს ალექსანდრე სალუქვაძის გარდაცვალების შემდეგ ცოლმა მის კოლექციაში 25 ათასი რუბლი მოითხოვა, მაგრამ ერთიანად გაყიდვა ვერ შეძლო, ამიტომაც ის ნაწილებად დაიშალა, რასაც ბევრი მკვლევარი რუსული მეცნიერებისთვის აუნაზღაურებელ დანაკლისად მიიჩნევს. თუმცა კვლავაც გავიმეორებთ, რომ მის კოლექციაში მრავლად იყო მისტიფიკაციებიც. მაგალითად, XIV საუკუნის სერბულ საეკლესიო განაწესზე, სალუქვაძევმა ანა იაროსლავნას, კიევის თავადის იაროსლავ ბრძენის ქალიშვილის ავტოგრაფი გამოსახა, რომელიც საფრანგეთის მეფე ანრი I-ს გაჰყვა ცოლად. იმას კი, რომ თავადის ქალი XI საუკუნეში, ხელნაწერის შექმნამდე სამი საუკუნით ადრე ცხოვრობდა, მკვლევარებმა ყურადღება მხოლოდ მას შემდეგ მიაქციეს, რაც ის წლების განმავლობაში საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში ინახებოდა. მთლიანად ფალსიფიცირებული X საუკუნის ვალაამის მონასტრის ისტორია კი დედნად XX საუკუნის პირველ ნახევრამდე ითვლებოდა (!)

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ქვედიაკვან კრიაკუტნის ამბავი, რომლის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ზემოთ გიამბეთ: მისი გამოძახილებია ასევე ანდრეი ტარკოვსკის გენიალურ ფილმში „ანდრეი რუბლიოვი“ და ვალენტინ პიკულის რომანში „სიტყვა და საქმე“; 1971 წელს სტატია კრიაკუტნოის შესახებ დაიბეჭდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში; რიაზანის კრემლის მუზეუმებში რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მოქმედებს ექსპოზიცია „კრიაკუტნოი საჰაერო ბურთზე“; 2007 წელს რიაზანის ოლქის გუბერნატორი გიორგი შპაკი თანამოქალაქეებს „მსოფლიო საჰაერო ფრენების პირველმკვალავს“ უწოდებს; 2009 წელს პერმის ოლქში ქვედიაკვან კრიაკუტნოის კლონს ამზადებენ; იქვე ძეგლს უდგამენ რუს იკაროსს ნიკიტა კრიაკუტნოის, რომელსაც თურმე „1656 წელს ხის ფრთები გაუკეთებია და 50-მეტრიანი სამრეკლოდან გადმომხტარა“, რისთვისაც სიკვდილით დაუსჯიათ...

თუმცა ნიკიტა კრიაკუტნოის ტრიუმფი არც ამით დასრულებულა: სულ ახლახან, 2017 წელს ნერეხტის სამხარეო მუზეუმში კონკურსი ჩაატარეს საჰაერო ბურთის საუკეთესო მოდელის შესაქმნელად, ოღონდ ახლა უკვე იეთიმ კრიაკუტნოის პატივსაცემად; 2018 წელს ინტერნეტში ჩნდება გამოხმაურებები სტენდის შესახებ, რომელიც კრიაკუტნოის მიუძღვნეს... მოსკოვის ავიაციისა და კოსმონავტიკის ცენტრალურ სახლ-მუზეუმში; 2020 წელს კი კოსტრომის ოლქში მეხუთედ ჩატარდა საჰაერო ნაოსნობის ფესტივალი სახელწოდებით „კრიაკუტნოი“.

როგორც ჩანს, კოსტრომული ფესტივალების ნუმერაცია სადღეისოდ უფრო მეტიც იქნებოდა, რომ არა, ეს ოხერი კოვიდი...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რუსეთელი „მიუნჰაუზენი“ ქართული ფესვებით

◎ ლეგენდა

ოჯახის ნებით



სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს სამხტომში, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცს ვიქტორ სანეევს ხვალ სიდნეიში დაკრძალავენ.

უკვე გაუწყეთ, აგრეთვე, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის სახელით საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ლეგენდარული მძლეოსნის ოჯახს შესთავაზა მისი ნეშტის სამშობლოში ჩამოსვენება და სათანადო პატივით დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მაგრამ ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილ მადლიერებით აღსავსე საპასუხო წერილში სოხუმელი ათლეტის მეუღლემ იანა ხვარწკიამ მიღებული რთული გადაწყვეტილების მიზეზი ასე განმარტა: **„ჩვენი ოჯახი ახლა სიდნეიში ცხოვრობს და ამ უპრეცედენტო დროში ჩვენი საქართველოში მოგზაურობა, მით უმეტეს, ჩემი ასაკის გათვალისწინებით, უფრო და უფრო გართულდება და ჩვენ არ გვექნება საშუალება მივაკითხოთ მის საფლავს ისე ხშირად, როგორც ამას ვისურვებდით“.**

დავძენთ, რომ დღეს 12-დან 17 საათამდე სეოკ-ში (მაჩაბლის 11) გაიმართება სამგლოვიარო ცერემონია, ოლიმპიურ მუზეუმში მოეწყობა სპეციალური ადგილი და მისულთ შესაძლებლობა ექნებათ შესაბამისი თანაგრძნობის ჩანაწერი გააკეთონ სამძიმრის წიგნში, ხოლო ავსტრალიაში ხვალ ჩვენს საამაყო თანამემამულეს ერთ-ერთი ეკლესიიდან გამოასვენებენ.

◎ რაგბი

უკვე თამამად ენდობიან

საძართველოს შარშანდელი სეზონის საუკეთესო მსაჯი ნიკა ამაშუკელი წინსვლას 2022 წელსაც განაგრძობს. ევროპის პროფესიულმა საკლუბო რაგბიმ ის იანვრის ორ ცენტრალურ მატჩზე დანიშნა.

22 იანვარს ამაშუკელი ჩემპიონთა თასის მე-4 ტურში ინგლისის პრემიერშიფისა და ტოპ 14-ის ლიდერების — „ლესთერ თაიგერზისა“ და „ბორდოს“ შეხვედრას განსჯის. ეს ტურისა და ზოგადად ჯგუფური ეტაპის გამორჩეული თამაშია:

„ორივე გუნდი თავ-თავიანთი, მსოფლიოს უძლიერესი ჩემპიონატების ლიდერია და მათი დაპირისპირება უდავოდ ცენტრალურია ჩემპიონთა თასის ჯგუფურ ეტაპზე. ზოგადად, ინგლისურ-ფრანგული ჯახი ყოველთვის სახასიათოა და ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი თამაში რომ მანდეს“.

მანამდე, 15 იანვარს 27 წლის რეფერი ჩელენჯ ქაფის მე-3 ტურში ფრანგულ დერბის იმსაჯებს, რომელშიც „პერპინიანი“ „ლიონს“ მასპინძლობს:

„მანამდე ჩელენჯ ქაფზე ფრანგული დერბი მელის და იმედია „ლიონში“ ქართველი ლეგიონერებიც ითამაშებენ, რაც ჩემთვის მსაჯობას ორმაგად სასიამოვნოს გახდის. „პერპინიანის“ გულშემატკივრები აგრესიულები არიან და ხმაურით გამოირჩევიან. წინ საინტერესო გამოცდილება მელის“, — ამბობს ამაშუკელი.

ნიკას ჩემპიონთა თასზე დებიუტი დეკემბერში ჰქონდა და მაშინაც ფრანგულ-ინგლისური მატჩი იმსაჯა — „კასტრი“ „ჰარლექუინზს“ ეთამაშებოდა.

◎ ჩოგბურთი

ავსტრალიურ კორტებზე

კატასტროფული სტარტის შემდეგ — 0:3 აშშ-სთან — ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ კანადა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის თასის მფლობელი გახდებოდა, არადა საბოლოოდ სწორედ ასე მოხდა.

სიდნეიში გამართული წლის პირველი გუნდური ტურნირის ჯგუფური რაუნდის როგორც დარჩენილი, ისე ნახევარფინალური შეხვედრები „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ ერთნაირი ანგარიშით — 2:1 მოუგეს, შესაბამისად, დიდ ბრიტანეთს, გერმანიასა და ფავორიტ აწ უკვე ყოფილ ჩემპიონ რუსეთს, ხოლო სატიტულო ბრძოლის ერთეულთა თანრიგში შაპოვალოვმა და ოჟე-ალიასიმმა ორივე მეტოქეს სძლიეს და წყვილთა მატჩს ინტრიგა დაუკარგეს.

სამაგიეროდ, კორტზე ასევე ავსტრალიაში, ოღონდ მელბურნში დაბრუნება მთავარი პრიზის მოპოვებით აღნიშნა პირენეელთა ლიდერმა რაფაელ ნადალმა, რომელმაც კარიერაში 89-ე წოდება სეტის წაუგებლად მოიხვეჭა.

მალიორკელმა ჯადოქარმა თანმიმდევრობით დაჯაბნა ლიეტუველი რიჩარდას ბერანკისი, ნიდერლანდელი ტალონ გრიკსპური, რომელიც ტრავმის გამო უბრძოლველად დანებდა, ფინელი ემილ რუუსოვორი, ამერიკელი მაქსიმ კრესი და უკვე ზედიზედ მე-18(!) სეზონია, რაც ერთ ტურნირს მაინც იგებს.

◎ ხელბურთი

ფინური მუხრუჭი

ძართველ გულშემატკივარს გველის ნაკბენივით ახსოვს ის პერიოდი, როცა ფინეთის კალათბურთელთა ნაკრები გზას გვიღობავდა ევრობასკეტისკენ.

სამწუხარო ტრადიცია გრძელდება — ამჯერად თანამემამულეთაგან ესტაფეტა სუომის ხელბურთელებმა აიტაცეს და უკვე ზედიზედ მეორე ფორუმს გამოგვთიშეს.

უცვლელი დარჩა პლეი-ოფების სიუჟეტიც — ისევე როგორც კონტინენტის წინა პირველობაზე, ამჯერადაც თბილისური პირველი რაუნდი ფრედ 22:22 დასრულდა (მაშინ 24:24), ათასი ტბის ქვეყანაში კი უშანსოდ დავმარცხდით — 23:30 (მაშინ — 16-ბურთიანი სხვაობით).

მართალია, „ჯვაროსნებს“ „შესანიშნავი შვიდეულის“, მათ შორის ცხოვრებაძის, არსენაშვილისა და ჭანტურიას სახით — გუნდის აღიარებული ლიდერები აკლდათ, მაგრამ ამით საერთო სურათი მცირედით იცვლება და უნდა შევეგუოთ მწარე სიმართლეს, რომ ჯერჯერობით ელიტამდე ბევრი გვიკლია.

◎ ფეხბურთი

აფრიკამ დაიწყო...

კამერუნის სტადიონებზე სტარტი აიღო კოვიდპანდემიის გამო ერთი წლით გადადებულმა აფრიკის ეროვნებათა თასის 33-ე გათამაშებამ, რომელიც 1957 წლიდან იმართება (პირველი გამარჯვებულია ეთიოპია, რომელმაც სამგუნდიანი ტურნირი მოიგო).

გახსნის მატჩში მასპინძლები, მართალია, მდევრის როლში აღმოჩნდნენ, მაგრამ შესვენებამდეევე მოახერხეს პენალტებით დაწინაურება — 2:1, ხოლო **„ა“ ჯგუფის** მეორე შეხვედრაში ზემოთ უკვე ნახსენები სადამფუძნებლო ფორუმის ტრიუმფატორი კაბო ვერდესთან დამარცხდა — 0:1.

„ბ“ ჯგუფი. სენეგალი — ზიმბაბვე 1:0, გვინეა — მალავი 1:0.

„გ“ ჯგუფი. მაროკო — განა 1:0, გაბონი — კომორის კუნძულები 1:0.

მცირე ექსკურსი ისტორიაში: „შავი კონტინენტის“ ყველაზე ტიტულოვანი გუნდები არიან ეგვიპტე (7), კამერუნი (5) და განა (4), ხოლო მოქმედი ჩემპიონია ალჟირი, რომელმაც 2019 წელს ფინალში სენეგალის ნაკრებს სძლია — 1:0.

რაც შეეხება საუკეთესო ბომბარდირთა ტრიოს, იგი ასე გამოიყურება: სამუელ ეტოო (კამერუნი) — 18, ლორან პოკუ (კოტ დივუარი) — 14 და რაშიდ იეკინი (ნიგერია) — 13 გოლი.

გაუწყებთ აგრეთვე, რომ თითქმის ერთთვიანი მარათონის ჯგუფური რაუნდი 24 გუნდის მონაწილეობით 20 იანვარს დასრულდება, პლეი-ოფებისა და გადამწყვეტი ბრძოლების კალენდარი კი შემდეგი გახლავთ:

მერვედფინალი — 23, 24, 25 და 26 იანვარი.

მეოთხედფინალი — 29 და 30 იანვარი.

ნახევარფინალი — 2 და 3 თებერვალი.

მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი — 6 თებერვალი.

◎ ფორმულა — 1

ახალი ნაწილი

ფორმულა 1-ს გუნდმა „მაკლარენმა“ ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე ახალი სარბოლო ავტომობილის მცირე ნაწილის ფოტო გამოაქვეყნა, რომელზეც პრაქტიკულად არაფერი ჩანს, თუმცა სარბოლო ავტომობილზე გარკვეულ წარმოდგენას მაინც იძლევა.

ფოტოზე ჩანს მანქანის ზედა ჰაერის ამღები, რომელიც გასული სეზონის მანქანის იგივე ელემენტის მსგავსია, მაგრამ შეიძლება იმის თქმა, რომ მისი პროპორციები შეიცვალა. თუ ადრე ჭრილს მართკუთხედის (მომრგვალებული კუთხეებით) მოყვანილობა ჰქონდა, ამჯერად მისი გვერდების სიგრძე თითქმის გათანაბრდა.

სავარაუდოდ, გაიზარდა ჭრილის განივკვეთის ფართობი, რაც ახალი ტექნიკური რეგლამენტის პირდაპირი შედეგია. მის შესაბამისად, რადიატორების ქვევით დიფუზორები განლაგდება, რომლებმაც მანქანის ძლიერი ჩაჭიდება უნდა უზრუნველყონ. შესაბამისად, გვერდითი რადიატორების ზომები დაპატარავდა, მათი ნაწილი კი ძრავის ზედა ნაწილში მოთავსდება. სწორედ ამას დასჭირდება ზედა ჰაერის ამღების გაზრდა.

თბილისში ქალმა მეშვიდე საკეისროთი მეთერთმეტე შვილი გააჩინა

თბილისში, „იმედის კლინიკაში“ უპრეცედენტო შემთხვევა დადასტურდა. ქალმა მე-7 საკეისროთი მე-11 შვილი გააჩინა.

როგორც imedinews-ს მრავალშვილიანმა დედამ რუსუდან მესხმა განუცხადა, თავადაც და ბავშვიც თავს კარგად გრძნობენ. მას ჯამში 4 ფიზიოლოგიური მშობიარობა და 7 საკეისრო კვეთა აქვს ჩატარებული.

გილოცავთ, ქალბატონო რუსუდან!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

მერაბ მერაბიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მარტვილს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება

წყალმომარაგების კომპანია მარტვილის 24-საათიანი წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს. შესაბამის ხელშეკრულებას ხელი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილემ ნინო ნაროზაშვილმა და კონტრაქტორი კომპანია COBRA INSTALACIONES Y SERVICIOS, S.A. branch Georgia-ს წარმომადგენელმა, ირმა რატიანმა მოაწერეს.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სისტემების მშენებლობა 30 თვეში უნდა დაასრულოს. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 30 მილიონ ლარამდე მოხმარდება.

წყალმომარაგების კომპანიის ცნობით, დღეის მდგომარეობით, ქალაქის ძირითად ნაწილს წყალი სტაბილურად მიეწოდება, თუმცა, ზაფხულის პერიოდში მკვეთრად იკლებს წყლის დებიტი და მოსახლეობა წყლით დღეგამოშვებით მარაგდება, არსებული წყალარინების სისტემა კი სრულად ამორტიზებული ხდება.

სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა წყლის სათავე ნაგებობები, წყალსადენის ქსელი, სატუმბი სადგური, რეზერვუარები და წყლის გამწმენდი ნაგებობა. აშენდება წყალარინების ახალი სისტემა, მოეწყობა სატუმბი სადგურები და კოლექტორები. ამასთან, წყალმომარაგების კომპანია მიმდინარე წლის დასაწყისში, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერს გამოაცხადებს.

ელვერ კუპატაძის გაუსაძლისი მონატრება

ჩვენო ელვერ! 12 იანვარს ათი წელი გახდება იმ ავბედითი დღიდან, რომელმაც შენი უეცარი გარდაცვალებით თავზარი დაგვცა! რა ადვილია სათქმელად და რა რთული აღსაქმელად, რომ ათი წელია ერთმანეთი არ გვინახავს!

უშენობა ყველას ძალიან დაგვეტყო, ყველას ძალიან დაგვაკლდი, განსაკუთრებით კი შენს მეუღლეს მერის, რომელმაც დღე არ გავა, თვალცრემლიანმა არ მოგისაკლისოს. ასევე ძალიან უჭირთ უშენობა შენს შვილებსა და დედმამიშვილებს, სიძეებს, სანათესაოს, სამეგობროს და სამეზობლოს. შენს უმცროს ძმას ლოტბერდის კი შენზე გაუთავებელმა დარდმა სიცოცხლე მოუსწრაფა და მესამე წელია, შენს გზას გამოუყვა, შენ მახლობლად დაიდო სამარადისო ბინა... შენი გარდაცვალების შემდეგ სამ შვილიშვილს: ცოტნეს, ბარბარეს და ნიკოლოზს უფალმა კიდევ სამი ულამაზესი შვილიშვილი: მარიამი, ლუკა და დაჩი შემატა შენი ლამაზი ჯიშისა და გენის გასაგრძელებლად. ისინი, სამწუხაროდ, მხოლოდ სურათებიდან და ვიდეოკადრებიდან გიცნობენ.

დიდი ხანია, სასუფეველშია დამკვიდრებული შენი მამაცი, უდრეკი და მებრძოლი სული. ღმერთმა ნათელი არ მოგაკლოს!

მერი, მევლუდ, თეონა, თორნიკე, ელზა და სერგო კუპატაძეები;
სიძეები: ნოდარ ოსეფაიშვილი და კახაბერ ყავლაშვილი.

დავით სარალიძის მკვლელობაში ბრალდებულს 10 წლითა და ექვსი თვით პატიმრობა შეეფარდა

დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში ბრალდებული გიორგი მენაბდე სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებით, მენაბდეს სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, მსჯავრი ერთი მეოთხედით შემცირდა და საბოლოოდ, სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წელი და ექვსი თვე.

პროკურორ მირიან მეგრელიშვილის თქმით, სასამართლომ შეაჯამა საქმეში გამოკვლეული მტკიცებულებები და „მიიჩნია, რომ ეს მტკიცებულებები აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს და გიორგი მენაბდის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი“.

„გიორგი მენაბდე ცნობილი იქნა დამნაშავედ დავით სარალიძის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენის ჯგუფურად მკვლელობისთვის და სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით ერთი მეოთხედით შემცირდა და საბოლოოდ 10 წელი და ექვსი თვე განესაზღვრა“, — განაცხადა პროკურორმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დავით სარალიძის მკვლელობის ფაქტზე გიორგი მენაბდე 15 აპრილს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულმა გიორგი მენაბდემ გიორგი ჯანაშიასთან და მიხეილ კალანდიასთან ერთად, ჯგუფურად, თან ნაქონი ბასრი საგნით, მოკვლის განზრახვით, არასრულწლოვან დავით სარალიძეს დაზიანებები მიაყენა.

2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ორი მოზარდის, დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, მსჯავრდებულები იყვნენ — გიორგი ჯანაშია, გუგა ბარბაქაძე და მიხეილ კალანდია. დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებულმა გიორგი ჯანაშიამ პენიტენციური დაწესებულება უკვე დატოვა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

რაც შეეხება მიხეილ კალანდიას, მას სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ პატიმრობა 11 წლითა და სამი თვის ვადით აქვს მისჯილი.

ზურაბ, თეა, ნესტან და რუსუდან მაჩაიძეები სამძიმარს უცხადებენ გურამ ახრახაძეს მეუღლის, ღირსეული ქალბატონის

ლალი წივწივაძე-ახრახაძის

გარდაცვალების გამო.

მამუკა ხაზარაძე სხდომათა დარბაზიდან გააძევეს

მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე სხდომა მხარეთა რეპლიკებით განახლდა. ყოფილმა ბანკირებმა ბრალდების მხარე ცრუ ინფორმაციების გავრცელებაში დაადანაშაულეს. პროკურორების განცხადებით, დასტურდება თაღლითობა, ასევე მყარია მტკიცებულებები ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ, რომ ის ფულის გათეთრებაში მონაწილეობდა.

„ვის ელაპარაკები ზრდილობაზე, რამე არ შეგეშალოს! თქვენ გონზე ხართ საერთოდ რას ლაპარაკობთ? შენ გგონია 9 წლის მეშინია? ციხეში წასვლის მეშინია?“, — განაცხადა ხაზარაძემ, რის შემდეგაც მას მოსამართლემ სხდომათა დარბაზი დაატოვებინა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოძიებას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე აწარმოებს. საუბარია 17 მილიონამდე დოლარის ტრანზაქციაზე. გენერალურმა პროკურატურამ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში „თიბისი ბანკიდან“ გარკვეული დოკუმენტაცია ამოიღო.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

თბილისსა და თბილისელებზე შეყვარებული ფარაჯანოვი

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღესთან დაკავშირებით მისი ხსოვნის საღამო გაიმართა, რომელსაც საკრებულოს წევრი ნინო რუხაძე უძღვებოდა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, მან სერგო ფარაჯანოვის განსაკუთრებულობაზე ისაუბრა და ამასთანავე აღნიშნა, რომ ფარაჯანოვის ხელოვნება და შემოქმედება პროფესიონალების შესაფასებელია და სათანადოდ არის დაფასებული.

სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების მნიშვნელობაზე ისაუბრა ნინო რუხაძემ.

„დღეს გადავწყვიტეთ, დიდი კინორეჟისორის იუბილე დედაქალაქის საკრებულოში აღგვენიშნა. სერგო ფარაჯანოვი ერთ-ერთი ყველაზე არაორდინალური ფიგურაა კინემატოგრაფიის და საერთოდ, ხელოვნების ისტორიაში, რომელიც ორიგინალური გამონათქვამებითა და ფილმებში მისი ნოვატორული სახეებით არის გამორჩეული“, – აღნიშნა ნინო რუხაძემ.

ღონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა სერგო ფარაჯანოვი გაიხსენეს, მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ასპექტები განიხილეს და რეჟისორის თბილისისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და სიყვარულზე ისაუბრეს. საღამოზე ასევე იური მეჩითოვის მიერ გადაღებული სერგო ფარაჯანოვის ფოტოებისა და ქართველ სომეხთა კავშირის მიერ ორგანიზებული დიდი რეჟისორის სახელობის კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა შედგა. ღონისძიების დასასრულ, რომელსაც საკრებულოს წევრები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, პიანისტმა დინი ვირსალაძემ სერგო ფარაჯანოვისადმი მიძღვნილი მუსიკალური კომპოზიციები შეასრულა. **თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2021 წლის სექტემბერში მთაწმინდაზე ქუჩას, სადაც სერგო ფარაჯანოვი ცხოვრობდა, მისი სახელი ეწოდა.**

ხარჩომაც გვასახელა

CNN-მა ხარჩო მსოფლიოში 20 საუკეთესო წვნიანს შორის შეიყვანა. გამოცემა ტრადიციულ წვნიანს, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულ კერძს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მას განსაკუთრებულ გემრიელ არომატს ტყემლის (დაუმწიფებელი ქლიავი – ასე უწოდებს მას CNN-ი) **წვენი ანიჭებს.**

„სოუსის მჟავე ტონები, რომელიც დაუმწიფებელი ქლიავისაგან მზადდება, აბალანსებს ცხიმიანი ძროხის ხორცისა და ნიგვზის მდიდარ არომატებს, რომელიც მზადდება წვნიანში. განსაკუთრებული გემო კიდევ უფრო მდიდრდება ქინძის, ქონდრის, ცერეცოს, შავი პილპილისა და ზაფრანის არომატებით“, – წერს გამოცემა.

ტელესკოპმა მთავარი სარკე გაშალა

კოსმოსურმა ტელესკოპმა „ჯეიმს უები“ მთავარი სარკე წარმატებით გაშალა. ამის შესახებ NASA იტყობინება. სააგენტოს ცნობით, ამგვარად, ტელესკოპის გაშლის ფაზა დასრულებულია. მანამდე ტელესკოპმა მთავარი მზის ბატარეა, დამცავი ეკრანი და მეორადი სარკე გაშალა. ახლა „ჯეიმს უები“ განაგრძობს დანიშნულების ადგილამდე მოძრაობას, რომელსაც იანვრის ბოლოს მიაღწევს.

„ჯეიმს უები“ კოსმოსში 25 დეკემბერს გაუშვეს. ის ეკზოპლანეტებს და მზის სისტემაში არსებულ ობიექტებს შეისწავლის.

ახალი ტელესკოპის ორბიტაზე გაყვანის იდეა NASA-ში ჯერ კიდევ 1997 წელს გაჩნდა. მისიას, რომელსაც სახელი NASA-ს მეორე დირექტორის, ჯეიმს უების პატივსაცემად დაარქვეს, სტარტი 2007 წელს უნდა აეღო, თუმცა ის 20-ჯერ გადაიტანეს. პროექტის ღირებულება 10 მილიარდი დოლარია. მასზე 17 ქვეყნის სპეციალისტი მუშაობდა. „ჯეიმს უები“ ტელესკოპ „ჰაბლზე“ 100-ჯერ მძლავრია. ტელესკოპმა კვლევებს 2022 წლის ზაფხულში უნდა დაიწყოს.

გზააბნეული ნიამორი

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის რეინჯერებმა გზააბნეული ნიამორი საბინადრო გარემოში დააბრუნეს

ნიამორი შატილში, დასახლებულ პუნქტში ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ნახეს და აღნიშნული ფაქტის შესახებ ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკს აცნობეს.

„ნიამორის პოვნის და საბინადრო გარემოში დაბრუნების სამუშაოებში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო. რეინჯერებმა ნიამორი უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით დაიჭირეს და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დააბრუნეს. შემდგომი მონიტორინგისთვის ნიამორს ნიშანი გაუკეთდა. რეინჯერები მასზე დაკვირვებას ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელებენ.

აღსანიშნავია, რომ ნიამორი წითელი ნუსხით დაცული უნიკალური და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობაა. ბოლო წლებში მიმდინარე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ნიამორის რიცხოვნება ყოველწლიურად იზრდება. დაცული ტერიტორიების სააგენტო მუდმივად აკვირდება მათ ფოტოხაფანგების, რეინჯერების და შესაბამისი აღრიცხვის მეთოდების საშუალებით“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ოსკარის ლაურეატს – „ოქროს გლობუსი“

„ოქროს გლობუსის“ 79-ე დაჯილდოების მთავარი გამარჯვებული ოსკარის ლაურეატ ჯეინ კემპიონის ფილმი „ძაღლის ძალაუფლება“ გახდა. ის წლის საუკეთესო დრამატული კინოსურათია. ოქროს გლობუსი გადაეცა ფილმის რეჟისორს და ასევე მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელ კოდი სმით-მაკფის.

წლის საუკეთესო მიუზიკლისა ან კომედიის ნომინაციაში გაიმარჯვა სტივენ სპილბერგის **„უესტსაიდურმა ისტორიამ“,** საუკეთესო სერიალად კი „მემკვიდრეობა“ დაასახელეს.

ოქროს გლობუსი დრამატულ ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის **უილ სმითს** გადასცეს.

წლის საუკეთესო ქალი მსახიობი დრამატულ ფილმში გახდა **ნიკოლ კიდმანი,** აარონ სორკინის ახალ ფილმში განსახიერებული პერსონაჟისთვის.

მიუზიკლსა ან კომედიაში შესრულებული ქალის როლისთვის დაჯილდოვდა დებიუტანტი **რეიჩელ ზეგლერი,** რომელიც „უესტსაიდურ ისტორიაში“ თამაშობს.

მიუზიკლსა ან კომედიაში განსახიერებული მამაკაცის როლისთვის დაჯილდოვდა **ენდრიუ გარფილდი.**

წლის საუკეთესო ანიმაციური ფილმი გახდა დისნეის **„ენკანტო“.**

წელს ოქროს გლობუსის დაჯილდოვება ტრადიციული ცერემონიის, მსახიობების და სხვა ცნობილი სტუმრების გარეშე გაიმართა. ცერემონიალი 1979 წლიდან პირველად არ გადაიცემოდა სატელევიზიო ეთერში.

პანდემიის დამარცხებისთვის იაპონიაში ილოცეს

ტოკიოში ათობით მორწმუნემ განწმენდის ტრადიციულ რიტუალში – „მისოგიში“ მიიღო მონაწილეობა და პანდემიის დასრულებაზე ილოცა.

„მისოგი“ განწმენდის მიზნით მთლიანი სხეულის ყინულიან წყალში განბანის პროცესს წარმოადგენს. კაცებთან ერთად მასში 3 ქალიც მონაწილეობდა. განბანის ცერემონია ტრადიციულად წლის ყველაზე ცივ თვეში ტარდება, როდესაც ტოკიოში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 3-9 გრადუსია. პანდემიის დასრულებაზე იაპონიაში შარშანაც ილოცეს.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 13 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0900; ევრო - 3.5000;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1984;
100 რუბლი - 4.1180; თურქული ლირა - 0.2713;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8172;
1000 სომხური დრამი - 6.3942.

ამინდი 12 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge